-47
933

ეროვნული ბიბლიოთეკა

№ 2

# პიონერი



სახელგამი 1933




მუშათა საქმისათვის იყავ მზად!

თებერვალი 1933 წ.

წელიწადი მე-8.

# პიონერი

საქართველოს. ა. კ. ო. ცენტრალური ბიუროს და განათლების სახალხო კომისარიატის სოციალური აღზრდის მთავარმართველობის ჟურნალი ბავშვთათვის.

№ 2.

რედაქციის მისამართი:
ალმასკომის ქ., № 7.

სახელგამი, საყმაწვილო და საბავშვო ლიტერატურის სექტორი.

## შინაარსი

გვ.

1. 15 წელი. გრ. უ—ლის . . . . . . . . . . . . . . . . . . 1
2. ბანაკში გასვლა—ი. აბაშიძის . . . . . . . . . . . . . . . 3
3. წითელი ლაშქარი—ლავრ. ჭიჭინაძის . . . . . . . . . . . . 4
4. ლარისა—იოსებ ლაცაბიძის . . . . . . . . . . . . . . . . 7
5. ჩაის გმირი—პოემა დ. ცვარ-ნამის . . . . . . . . . . . . . 9
6. სპარსეთის ბავშვები—აელის, თარგ. ნ. დაფნარელის . . . . 12
7. საგაზაფხულო თესვისათვის—ლექსი ნოე დაფნარელის . . . 12
8. რაკეტა ს. ს. ს. 1—პიესა დოლინისა და მ. შიფმანის . . . . 15
9. პირველი ადამიანების შესახებ დედამიწაზე.—პოკროვსკის . . 20
10. ბერლინი—შ. თ. . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 23
11. მხარი მხარს—მუსიკალური ნაწარმოები თ. შავერზაშვილის .

სტამბა პოლიგრაფსკოლისა, ა. წერეთლის ქ. № 3—5.

შეკვეთა 515 — მთავლიტი ა-814. — ტირაჟი 3300.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ამხ. სტალინი ესალმება დემონსტრანტებს

# მე-15-ე წელი

15 წელი შესრულდა მას შემდეგ, რაც გამოიცა დეკრეტი მუშურგლეხური წითელი არმიის შედგენის შესახებ.

1918 წლის 23 თებერვალს საფუძველი ჩაეყარა დიდი ოქტომბრის მონაპოვარს შეიარაღებულ ძალთა ორგანიზაციად ჩამოყალიბების საქმეს.

საბჭოთა კავშირის მუშები, კოლმეურნეები და ყველა მშრომელები მეთუთხმეტეჯერ ზეიმობენ მ.გ.წ. არმიის არსებობის წლის თავს. წელს, ჩვენი სახელოვანი არმიის 15 წლის თავის ზეიმი დაემთხვა ისტორიულ თარიღს, როდესაც საბჭოთა კავშირის მშრომელები შევიდენ უკლასო სოციალისტური საზოგადოების აშენების ხუთწლედში.

როგორ ეგებება ამ ისტორიულ წლისთავს მუშურ-გლეხური წითელი არმია ჩვენი კავშირის მშრომელებთან ერთად? უდავოა, ქვეყნის თავდაცვის უნარიანობის და სოციალისტური მშენებლობის ბოლშევიკურად განმტკიცების გიგანტური მიღწევებით.

პირველი ხუთწლედის ოთხ წელში შესრულებამ, ქვეყნის ინდუსტრიალიზაციამ, სოფლის მეურნეობის სოციალისტურმა რეკონსტრუქციამ და კულტურულმა რევოლუციამ შესაძლებლობა მისცა პროლეტარულ სახელმწიფოს ტეხნიკურად ისე აემაღლებია თავისი არმია, რომ ის ამ ხრივ უფრო მაღლა დაეყენებია, ვიდრე კაპიტალისტური ქვეყნების არმიებია.

ამას ადასტურებს ის ფაქტები, რომ წითელარმიელები თავგამოდებით იბრძვიან სამხედრო ტექნიკის დასაუფლებლად და პარტიის და ხელისუფლების მიერ მათზე გადაცემულ საბრძოლო ტექნიკურ საშვალებათა ათვისების საქმეში თანამედროვე ბრძოლების წარმოების ტექნიკის დაუფლების საფუძველზე.

წითელი არმია, როგორც პროლეტარიატის დიქტატურის არმია, ,,განთავისუფლებული მუშების და გლეხების არმია‘‘ ფხიზლად დარაჯობს ოქტომბრის მონაპოვარს და მუდამ მზად არის გამანადგურებელი ლახვარი ჩასცეს ყველა იმას, ვინც გაბედავს ჩვენს წინაალმდეგ გამოლაშქრებას, ვინც მოინდომებს სოციალისტური რესპუბლიკების დაპყრობას.

წითელი არმია განუხრელათ ასრულებს დიდი ბელადის ლენინის



ამხ. ვოროშილოვი 15 წლის თავზე წითელიარმიის პარატზე

ანდერძს და ყოველთვის მზად არის ოქ-ტომბრის მონაპოვარის სადარაჯოზე.

**ომი შესაძლებელია დაიწყოს ყოველ დღე. კარგად შეისწავლე სამხედრო საქმე, ეს მეცნიერება აუცილებელია პროლეტარიატისათვის არა იმისათვის, რომ ესროლონ თავიანთ ძმებს სხვა ქვეყნის მუშებს, არამედ იმისთვის, რომ ბოლო მოუღონ ექსპლოატაციას, სიღარიბეს და ომებს.** ლენინის ამ ანდერძის და მისი ნაციონალური პოლიტიკის შედეგად დღითი-დღე იზრდება და ძლიერდება მრავალეროვნებიანი წ.-არმიის ნაციონალური ნაწილები.

ქართულ ნაწილებშიაც, რომლებსაც მ.გ.წ. არმიის ნაწილებ შორის ერთად-ერთი ადგილი უჭირავთ, პოულობს განსახიერებას ბელადის ნაც. პოლიტიკის ბოლშევიკურათ გატარება.

წითელი არმიის ქართული დივიზიები საბრძოლო პოლიტიკური მომზადების საქმეში მიღწევებისა გამო გასულ წლებში მთავრობის მიერ დაჯილდოვებულია წ.დ. არმიის და ცაკის დროშებით.

ეს მიღწევები მოპოებულია არა თვითდინებით, არამედ წითელარმიელთა მაღალი კლასობრივი შეგნების საფუძველზე, იმის საფუძველზე, რომ წითელი არმია მშრომელთა შვილია, რომ ივი მჭიდრო ძაფებით არის დაკავშირებული მუშების და გლეხების ცხოვრებასთან“.

პარტიის ბელადი ამხანაგი **სტალინი** სამართლიანად აღნიშნავს შემდეგს: **„არსად ქვეყნიერებაზე არ არის ისეთი მზრუნველი დამოკიდებულება ხალხის მხრიდან არმიის მიმართ, როგორც ჩვენთან. ჩვენთან არმია უყვართ, მას პატივსა სცემენ, მასზე ზრუნავენ‘‘.** და მართლაც ამხ. **სტალინის** ეს სიტყვები დამტკიცებულია სამოქალაქო ომის პერიოდში, დამტკიცებულია დღესაც, მშვიდობიანი სწავლების პერიოდშიაც.

პარტიისა და საბჭოების ხელმძღვანელობით იზრდება არმიის კავშირი ქარხნებსა, ფაბრიკებსა, და კოლმეურნეობებს შორის.

ქართულ ნაწილებშიაც დიდი მუშაობა ტარდება ამ მიმართულებით. სოციალისტური სოფლისათვის და ქალაქისათვის ახალი კადრების მომზადების მიზნით ყოველ[illegible] — ყოველ დღიურად უვადო შვებულებაში მიმავალი ყველა წითელი მებრძოლი ემზადება საბრძოლო პოლიტიკურ მზადებასთან ერთად, რომ გახდეს კოლმეურნეობათა და საბჭოთა მეურნეობათა საუკეთესო მუშაკი.

თორმეტი წლის განმავლობაში ქართულ ნაწილებს გადაცემული ყავთ სოფლის მეურნეობისათვის, მომზადებულ, უვადო შვებულ წითარმიელთა სახით, მომუშავეთა საგრძნობი რიცხვი, რომლებიც შეიარაღებულნი არიან პოლიტიკური და სამეურნეო ცოდნით და რომელნიც პრაქტიკულად ახორციელებენ პარტიისა და ხელისუფლების დადგენილებებს. წითელარმიელები ნაწილდებიან შინ დაბრუნებისას, შედიან კოლმეურნეობებში; მათი აქტივობით შექმნილი მრავალი კოლმეურნეობა. წითელ ყაზარმაში მოსული ახალგაზრდობა ათიათასობით ეცნობა კოლმეურნეობის უპირატესობას და ხდება კოლმეურნეობის აქტიური მომუშავე. მრავალია მაგალითი იმისა, რომ ამხ. ამხ. **სტალინის და ფრუნზეს** სახელობის დივიზიებიდან შვებულებაში წასული არმიელების საკმაო რიცხვია ჩაბმული კოლმშენებლობაში.

მაგრამ მარტო ამით როდი ამოიწურება წითელი არმიის მუშაობა. ნაწილებში გაცხოველებული მუშაობა მიმდინარეობს ახალ-ახალ ამოცანათა შესასრულებლად, ახალი ტექნიკის ათვისება-დასაუფლებლად და მეორე ხუთწლედში დასახული ამოცანების, უკლასო სოციალისტური საზოგადოების დაცვის უნარიანობის კიდევ უფრო ასამაღლებლად.

ამას შეძლებს, ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელობით, ჩვენი წითელი არმია — ხალხთა ძმობის არმია.

გრ. ულ — ი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ბანაკში გასვლა

მე-18 საუკუნის რუსეთის დიდ სარდალს სუვოროვს უთქვამს:

— ტყვია სულელია, ხიშტი ყოჩაღი.

ეს იმ დროს, როცა „ჯარისკაცის სახსოვარში" წერდენ:

„ჩვენმა ქვეითმა ჯარმა არაერთხელ დაგვანახა, რომ ხიშტით შეიძლება უდიდესი საოცრების მოხდენა, ხოლო იარაღის ცეცხლი ჯერ კიდევ არცერთ ჯარში დიდის წარმატებით არ წარმოებულა".

რასაკვირველია, კაჟის თოფი მაინცდამაინც დიდ ეფექტს ვერ მოახდენდა და ისევ ხიშტი რჩებოდა ქვეითი ჯარის ძირითად საომარ იარაღად.

მაგრამ დრო გადის, და „მებრძოლის სახსოვარში" წერენ სამხაზიანი შაშხანა თოფის შესახებ:

„ჯარისკაცი ამ იარაღის გარეშე იგივეა, რაც ხურო უცულოდ, მთიბველი უცელოდ, მხვნელი უგუთნოდ ან ყაზახი უცხენოდ. გიყვარდეს და მოუარე იარაღს, როგორც თვალის ჩინს".

განმტკიცდა შაშხანა, ის შეიქმნა „სასწაულმოქმედი" და გახდა ქვეითი ჯარის ძირითად იარაღად.

ბევრი გაიტაცა კარგი მსროლელის სახელმა, რადგან ეს იყო ოსტატისა და ხელოვანის სახელი.

მეფის გენერალი დრაგომიროვი აღნიშნავდა:

„ჯარისკაცს არა იმიტომ ეძლევა იარაღი, რომ ისროლოს, არამედ იმიტომ, რომ სწორად მოარტყას მოწინააღმდეგეს".

კაპიტანი კოზლოვი 1911 წელს თავის ბროშურაში წერდა:

„ზუსტი მსროლელი თავისი საქმის ოსტატი და ხელოვანია".

მგონი იგივე კაპიტანი წერდა:

„კარგ მსროლელად არ ჩაითვლება ის, ვინც ზუსტად სცემს მიზანს მხოლოდ მას შემდეგ, რაც მას მიუთითებს და უკარნახებს ნიშანი, მანძილი და მიზანი".

„ომში, ჯარისთვის, დამოუკიდებლად ზუსტად მსროლელი ოქროს საგანძურია, ხოლო კარნახზე მიჩვეული მსროლელი სპილენძის ფული". (ეს აზრიც, მგონი, იმავე კაპიტანს ეკუთვნის).

აი როგორ აფასებდენ კარგ მსროლელებს მეფის სარდლები.

სნაიპერი მართლაც რომ ოქროს საგანძურია ჯარში.

მაგრამ მტრისათვის ამ საგანძურიდან ეს ძვირფასი ლითონი კი არ გამოდის, არამედ უფრო მდარეხარისხის ლითონი — ზუსტად გასროლილი ტყვია.

მსოფლიო ომში პოზიციური ბრძოლის პირველ პერიოდში, გერმანიის სნაიპერებს შაშხანით გამოჰყავდათ წყობილებიდან ინგლისელების მთელ ფრონტზე დღეში რამოდენიმე ასეული კაცი. საერთო დანაკარგი ინგლისელებისათვის ერთ თვეში მთელს დივიზიას უდრიდა.

აი რა შეუძლია შაშხანას, კარგ მსროლელს.

შაშხანა კიდევ დიდხანს იკივლებს ომების ქარიშხალში, დიდხანს ემსგავსება უშაშხანო მებრძოლი „უგუ[თნო] მხვნელს, უცულო ხუროს".

მე კი, ავჭალის ბანაკში პირველა[დ] მისულმა, როცა დავინახე ჯელგმაშ[ი] დამდგარი გაუბიცები, შაშხანის ბედ[ი] გადაწყვეტილად ჩავთვალე.

და როცა სხვა საჭურველთან ერთა[დ] იგიც ჩამაბარეს, გულში ვიფიქრე:

— რად მაძლევენ ამ ხანგადასულ[ს] იარაღს, მე მომავალი დიდი ომი[ს]თვის ვემზადები, სადაც ტექნიკა გ[ა]დაწყვეტს ყველაფერს, და არა ჩიტ[ე]ბზე სანადირო თოფი მეთქი.

აი, ბანაკის სასროლეთზე აკაკანდ[ა] ტყვიამფრქვევი, და შორს ისმის ს[ა]მანევროდ გასული ქვემეხების სრო[ლ]ის ხმა, არმია გადადის უმაღლე[ს] ტექნიკაზე.

ასეთივე ტექნიკით მოწინააღმდე[]გეებთან მექნება საქმე ომის დრო[ს].

— მაშ რას მარგებს ეს წვრილ[ი] იარაღი, რა ბედენაა შაშხანა უზარმ[ა]ზარ ტანკებთან, ქვემეხებთან, გამ[]ნადგურებლებთან, წაიღეთ, მიეცი[თ] სოფლად ბიძაჩემს ვენახის დასაც[]ვად.

მაგრამ მაგონდება ისევ „მებრძო[]ლის სახსოვარი": „ჯარისკაცი ა[მ]



15 წლის თავზე ტფილისის ნაბქოს საზეიმო სხდომის პრეზიდიუმი

იარალის გარეშე იგივეა, რაც ხურო უცულოდ".

თურმე ქვემეხს თავისი ადგილი აქვს, ტანკსაც, თვითმფრინავსაც, შაშხანასაც — თავისი ადგილი, დიდი და საპატიო.

— შევცდი და დაგამცირე, ჩემო შაშხანავ, მე და შენ ნამდვილად უახლოესი მეგობრები ვიქნებით იმ დიდ გამოცდაში, რომელიც მომელის. მოგივლი და შეგინახავ, დაგიცავ, და გადამარჩინე შენი მეგობარი მტრის შემოტევისაგან.

განა შენგვარი მეგობარი მეყოლება? შენ უნდა მაშორო მტრის ტყვია, შენ უნდა ატეხო კივილი მტრის თავდასხმის დროს და აცნობო ჩემს თანამებრძოლთ ჩემი განსაცდელი, შენ უნდა დამაბრუნო ცოცხალი, გამარჯვებული და სახელოვანი ჩემს ქვეყანაში. მაშ, რისთვის არ გზიდო ზურგით, რისთვის არ გწმინდო და გახარჯო ყოველდღე, რისთვის არ მიყვარდე ისე, როგორც თვალის ჩინი.

ერხთელვე „შეურაცხყოფილი" იგი დიდხანს ჯიუტობდა ჩემს ხელში, სწორად არ სცემდა მიზანს, მაგრამ მთელი თვის გაცნობამ და ერთად ყოფნამ დაგვამეგობრა ჩვენ.

დავუმეგობრდი მას.

დამიმეგობრდა ისიც, ისე, რომ ჩემს ხელში ახლა არასოდეს ნიშანს არ უხვევს, სხვასთან კი ეშმაკურად გაკრავს ხოლმე, ხან მარჯვნით დახან მარცხნით.

**ი. აბაშიძე**

# წითლების ნამქარი

ზამთარი მიდის, გაზაფხული ახლოვდება.

დღეები ღრუბლიანია და ცივი ქარი ქრის.

მზე ღრუბლებიდან ხანდახან გამოიხედავს, და ცას თითქოს ეცინება. სოფლებში უჩვეულო ფაციფუცი წარმოებს. დედაკაცებს შიში აქვთ სახეზე გაკრული, ხელებში ბოხჩა უჭირავთ და სადღაც მიიჩქარიან. პატარა ბავშვები გაფითრებული სახით უცქერიან უფროსებს და უხმოდ მისდევენ უკან.

ერმიგო გორგიშელის ცოლი ბავშვებით ჭიშკართან იდგა და სადღაც აპირებდა წასვლას. ერმიგო შინ რჩებოდა, ცოლს კი გულის გამმაგრებელ სიტყვებს ატანდა.

—გამარჯობა, ერმიგო, — აკანკალებულის ხმით მიესალმა და, რომელიც მახლობელ სოფელში იყო გათხოვილი. მას თან ახლდა სამი პატარა ბავშვი. შიშისაგან ფერწასული ბავშვები გაკვირვებით უცქეროდენ დედის ძმის წულებს...

— გამარჯობა კი არა, ვიღუპებით, მგონია, ელპიტო! სად წავიდე, ვის შევაფარო თავი, ველარ მომიფიქრებია. ნეტავ ამ დროს არ მოვსწრებოდი და...



კურსანტები სროლაში ვარჯიშობენ

სასოებადაკარგული ერმიგო ასე მოუთხრობდა თავის გათხოვილ დას. ხელები ისე გაშალა, თითქოს ღმერთს დაუწყო ვედრება, მაგრამ ის მორწმუნე კაცი არ იყო. იდგა იგი ასე გაფითრებული სახით, გაკვირვების ნიშანივით.

— მე თქვენკენ უფრო მყუდროება მეგონა და ბავშვებით აქეთ გადმოვიხიზნე. რა ვქნათ, საით წავიდეთ, აღარც ჩვენ ვიცით...

ელპიტოს ბავშვები დედის ნაღვლიან სახეს უცქეროდენ და მის მწუხარებას ისინიც იზიარებდენ. ზამთრის სუსხიანი სიცივე იდგა, და ბავშვები თითქოს ვერ გრძნობდენ...

— აი, ხომ გესმის, ზარბაზნები როგორ გრიალებს... აჰა, თითქოს დედამიწა შეინძრა... იგი თანდათან ახლოვდება, აღარ ვიცი, რა მოგველის.

და-ძმა ასეთი გაკვირვებული და უიმედო კილოთი ესაუბრებოდა ერთმანეთს. ისინი ერთიმეორესაგან ელოდენ გულის გამმაგრებელ სიტყვებს. რაც ერთს გაეგონა, ის იცოდა მეორემაც, და ამიტომ იყო, რომ ისინი შიშით იყვნენ შეპყრობილი.

— თურმე რა საშინელებაა! დედა.. დედა... დედა... უწინაც დღე დამლევია მე...

ელპიტოს აკანკალებული ხმით რაღაც უნდოდა ეთქვა, მაგრამ ველარ დაამთავრა.

— ადამიანებს ჭამენ, თურმე, ყველაფერი მიაქვთ.—ელპიტოს აზრი ერმიგოს ცოლმა დაასრულა.

ასე ლაპარაკობდენ სოფლელი დედაკაცები და ზოგიერთი მამაკაცებიც ბოლშევიკების შესახებ საქართველოს საბჭოთა ხელისუფლების დამყარების ორი თუ სამი დღის წინად.

ერმიგო უგდებდა ყურს რძალ-მულის ლაპარაკს. ისიც უთანაგრძნობდა მათ, მაგრამ სიტყვით მაინც არ გამოხატავდა ამ შიშსა და უიმედობას. მან ხმამაღლა შეუტია რძალ-

ბოლშევიკების გამოჩენას სოფლელები სულთამხუთავივით ელოდებოდენ. სოფელში წითლების ჯერ თითოოროლა და შემდეგ კი მთელი ლაშქარი შემოიჭრა. ძაბრიქუდიანი ხალხი მოსახლეობას კარგად ეპყრობოდა. გლეხს, რომელსაც არასოდეს არ ენახა ასეთი ლაშქარი, შიშით კანკალი აუვარდა. ძაბრიქუდიანი მოლაშქრეები ყველაფერს ხედავდენ და გამამხნევებელი კილოთი ლაპარაკობდენ:

— Товарищ, не бойся, мы братья, — უცხო მოლაშქრის ასეთი სიტყვები გლეხებს გულში იმედს უნერგავდა, მათს გულში იმედი ისახებოდა ,,ამხანაგოთი‘‘ მიმართვას რომ გაიგონებდენ.

ზესტაფონი ძაბრიქუდიანი ჯარისკაცებით აივსო. მოსახლეობა მათ შორიდან უცქეროდა. უიმედოდ მიმავალმა მენშევიკებმა ყვირილის ხიდი დააზიანეს, და მატარებლის მიმოსვლა შეწყდა. წითლებმა თავიანთსურსათ-სანოვაგის გადატანა ერთი ადგილიდან მეორემდე ადგილობრივი მოსახლეობის საშვალებით დაიწყეს.

—აი გაუწყრა ღმერთი მენშევიკებს, ენაზე მუდამ სამშობლო ეკერათ, მაგრამ, აჰა, როგორ მოგვთხარეს ძირიანად. ყვირილაზე ხიდი გააფუჭეს... იტანჯე, ღარიბო გლეხო, მენშევიკებს შენი დარდი არა აქვთ. შავმა ზღვამ ზიდოს მათი ტანი... რა ენაღვლებათ, ჩემო ძმაო, სამი წელიწადი გვატყუეს და... ახლა თუმცა ყველაფერი ვიცით, მაგრამ გვიანღა არის. ერთად იყვნენ შეჯგუფული გლეხები და ერთმანეთში საუბრობდენ. მათ საუბარში უკმაყოფილების ხმა ისმოდა, ისინი ერთმანეთს შესჩიოდენ.

4

მაყვლარიანის მთის წვერს თეთრი ნისლი ბოლივით ახვევია, ძირს კი ყვირილა მიდის. ის ახლა არ ყვირის, თუმცა შავი წყალია. ატეხილი ჭალები, რომელიც ყვირილას მარჯვენა მხრიდან აკრავს, თითქმის დაფარულია წითელი არმიის ნაწილებით. მხედრები მიაჭენებენ ცხენებს და მათ ფეხთა თქრიალს თითქოს მიაქვს მახლობელი სოფლები. ადგილობრივი გლეხების ურმები წითელი არმიის სურსათ-სანოვაგით დატვირთული, მძიმედ მიჭრიალებს საქუთაისო გზით. ომს დიდი ამბავი მოსდევს მაგრამ...



წითელარმიელები დასვენების დროს

— ვინ იფიქრებდა, თუ ეს ომიანობა ასე ჩაივლიდა, ლაპარაკი გააბეს მეურმეებმა ერთმანეთს შორის.

—- ჰოი, მაგ სულძაღლი მენშევიკები როგორ გვაშინებდენ, რაებს არ გვეუბნებოდენ ბოლშევიკების შესახებ.

— ჩვენისთანა უსწავლელი კაცი სანამ თვალით არ შეხედავს, ვერაფერს გაიგებს, საკუთარი თვალი კი ყველაფერში დაგვარწმუნებს.

— სრული სინამდვილეა, ძმაო, სრული. — დამშვიდებულის კილოთი საუბრობდენ ერთმანეთ შორის გლეხები, რომლებიც წითელი არმიის სურსათ-სანოვაგით დატვირთულ ურმებს მიჰყვებოდენ.

5

სოფლებიდან გახიზნული დედაკაცები დაუბრუნდენ თავიანთ ოჯახებს. შინ ყველაფერი ისე დახვდათ, როგორც წინათ იყო.

ერმიგო მხიარული შეეგება თავის ცოლს და სიცილით შევიდენ სახლში. ბავშვები დაღვრემილი სახეებით წავიდენ და მხიარულნი დაბრუნდენ. მათ ისევ ძველებური თამაშობა გააჩაღეს.

— აი ეს ბოლშევიკები კარგი ხალხი ყოფილა, მოვიდენ და მშვიდობიანობა დამყარდა.

— რა ვიცი, ბოშო, ხმები ისეთი შემოიჭრა სოფლად, რომ კინაღამ გული გაგვისკდა, — დამშვიდებული კილოთი უპასუხა ცოლმა ერმიგოს.

მენშევიკები შორაპნის ციხეს ამაგრებდენ. ეს იყო მათი უკანასკნელი იმედი, მაგრამ ძველებური „სიმაგრე“ ველარ აღადგინეს, და საქართველოში საბჭოთა ხელისუფლება დამყარდა. .

ლავრ. ქიქინაძე.



უფროსი ასწავლის ახალ წვეულს ტანისამოსის ჩაცმას.



# ლარისა

I

მზე დიდი ხნის ამოსული იყო და ის იცინოდა, როგორც სიხარულით აღსავსე ბავშვი. მის სხივებში ჩახუტულიყო ხევსურეთის ტურფა მიდამო: ხავერდოვანი მობიბინე ბალახი, მოჩუხჩუხე ანკარა წყარო და მობუტბუტე და მოშრიალე ტყე, რომელიც ნაზად ირხეოდა ნიავის ღელვაში.

მთებში ბილიკები მიიკლაკნებოდა და თავდებოდა შორს, ძალიან შორს, მიუვალ გორებში.

მთებში ისმოდა ძროხების ბღავილი და ხბორების ზმუილი, რომელსაც იმეორებდა ამაყი მთები.

ნიავი სისინით ჩაირბენდა ფერდობებზე, ორღობეებში და არხევდა მრავალგვარ წარმტაც ყვავილს.

სოფლის ბოლოს იჩოს სახლთან, დიდსა თუ პატარას, ქალსა თუ კაცს, ჭოხუცს თუ ახალგაზრდას, თავი მოეყარათ და გაჰყურებდენ მომავალ ადამიანთა გუნდს.

ეს გუნდი იყო მადნის მაძებართა ჯგუფი.

— გამარჯვებათ ხევსურნო! – უთხრეს მოსვლისთანავე.

— გაგიმარჯოს, სტუმარნო, სოფელი გიძღვნით გამარჯვებას.

მოსული ადამიანთა ჯგუფი დაღლილი იყო და დასასვენებლად წამოვა მწვანე ბალახზე·

ერთხანს სიჩუმე იყო. ქალები რაღაცას ეჩურჩულებოდენ ერთმანეთს, მამაკაცები ცნობისმოყვარეობით ათვალიერებდენ გადაშლილ რუკას, რომელსაც მადნის მაძებრები ათვალიერებდენ.

— სტუმარნო, რაი გინდათ, რატომ გარჯილხართ?

— მოვსულვართ, ქვეყნისათვის სიმდიდრე უნდა აღმოვაჩინოთ.

სიმდიდრე?!!—გაიკვირა იჩომ,— სად არის სიმდიდრე?

— თქვენს მთებში, მიწაში, ჩემო ხევსურ,— უთხრა პირმცინარე ინჟენერმა.

რომ ინჟინერს დაერწმუნებია დედამიწაში არსებულ სიმდიდრეზე, გამყოლ მუშას გამოართვა ჩანთა, ამოიღო სხვადასხვა მადნის ნიმუში და უჩვენა როგორც იჩოს, ისე ყველა იქ დამსწრეთ.

ყველა გატაცებით ათვალიერებდა.

— ასეთი ბევრი ვიცი ჩოლოპას მთაში! —წამოიძახა პატარა ლარისამ.

ინჟინერის სახეზე სიხარულის ფერმა გაიელვა.

— რომელ მხარეზეა ეგ მთა?—უთხრა ინჟინერმა.

— აი, იქ.—და ლარისამ გაიწოდა ხელი იქით, სადაც მადანი ეგულებოდა. და მისი სახე გაკვირვებით ილიმებოდა, როგორც ცქრიალა მზე.

— საიდან იცი, პატარა გოგონავ, შენ? შეეკითხა ინჟინერი და თმაზე ხელი გადაუსვა.

ლარისამ უხერხულება იგრძნო, რადგან მის თმას უცხო კაცის ხელი შეეხო, მაგრამ აშკარა წინააღმდეგობა მაინც ვერ გაუწია და მოიბუზა.

2

— აი აქ არის!— გაისმა ლარისას ზარისებური წკრიალა ხმა.

ინჟინერმა ხელი მხარზე დაჰკრა და უთხრა:

— ყოჩაღ, დაგასაჩუქრებ, პატარა გოგონა!— და მიუახლოვდა მადნის ძარღვს. ძარღვი მთის ფერდობზე ერთი მეტრის სიგანით ზევით მიიმართებოდა, ხან იმალებოდა მიწაში და ხან კი გამოჩნდებოდა მედიდურად წამოსკუპებული.

შეუდგენ საქმეს, გასინჯეს, გადაათვალიერეს და, ეჭვი არ იყო, ამ ადგილას სპილენძის დიდი მარაგი იყო.

— რით დაგასაჩუქრო, ლარისა? — უთხრა ინჟენერმა და ოფლიანი სახე მოიწმინდა.

— რაით? მე თქვენი ფული არ მინდა, ან რა მაქვს საყიდელი? კარაქი ბევრი გვაქვს, ერბო, წველა (მაწონი) და პურიც.

— მაშ რა გინდა?

— რაი და თქვენ სტავლას რომ უძახით, მასწავლეთ. მთავრობის ვიქნები, ხევსურთაც - გამოვადგები!

— წამოხვალ ქალაქში?

— რაით არ წამოვალ, მაგრამ ვისთან ვიქნები?

— ჩემთან, გოგონა,—უთხრა ინჟენერმა და მიუალერსა.

ლარისას გაეღიმა, და ბროლივით თეთრმა კბილებმა გაიელვა.

მზე კარგად გადიხარა. ნიავის სისინი მატულობდა.

3

დადგა შემოდგომა, მზე ავადმყოფი ადამიანივით გამოიყურება. მოშრიალე ტყეს სილამაზე დაეკარგა, ფოთოლი სცვივა. მობიბინე ბალახი და ნაირნაირი ყვავილი დაჭკნა. მთებს

მთლიანზე და ამაყობა დაეკარგათ, ნისლი და წვიმები ხშირი სტუმარი იყო ისედაც მოწყენილი მთების.

პატარა ლარისაც გამოიცვალა. ოდესღაც ცქრიალა, მხიარული, დღეს მოწყენილი ზის თუნუქით ხელში, მოდუდუნე წყაროსთან.

ზის და ფიქრობს, ფიქრობს და ნაღვლობს, ნაღვლობს და სტირის, თუ რატომ მოატყუა ინჟენერმა, რატომ არ წაიყვანა იგი ქალაქში სწავლის მისაღებად. ის ხომ დაჰპირდა ორი თვის შემდეგ მოვალ და წაგიყვანო. ახლა კი მესამე თვეც თავდება, ის კი არ ჩანს.

აი, ამ ფიქრებით იყო შებოჭილი პატარა გოგონა. დიდხანს იჯდა ასე. ბოლომ მოაწვა. ატირდა, აქვითინდა.

— მომატყუა, მომატყუა—და კიდევ რაღაც უნდოდა ეთქვა, რომ მის წინ დედა აიმართა.

— შვილო, ლარისაი, მითხარ, ჩემო ყველაი, რა გაწუხებს, ერთი თვეა, შვილო, რაც სევდას შეუპყრიხარ, მითხარ, ნუ დამიმალავ, დედა ვარ შენი.

— მომატყუა, მომატყუა ქალაქიდან მოსულმა ინჟენერმა.

— მოგატყუა, შვილო? - შეეკითხა შვილს და აცრემლებული თვალები მოუშრალა.

— ქალაქში წაგიყვან, ქაღალდს შეგასწავლიო. დედაი, მომატყუა, მომატყუა.

საწყალმა გოგონამ უკანასკნელი სიტყვა ნაწყვეტ-ნაწყვეტად წარმოთქვა და დედის კალთაში აქვითინდა. ამ დროს უბიდან პატარა წიგნი გადმოუვარდა და წყალში ჩავარდა. წაიღო წყარომ. ლარისამ ხელი უბეზე მოისვა—წიგნი აღარ დახვდა და წამოიძახა.

— ქაღალდი, სტავლა აღარა მაქვს, დამეკარგა, დედაი.

დედა შეკრთა შვილის ასეთი კითხვით.

ლარისამ ძირს დაიხედა. წყაროს ძალაუნებურად თვალი გააყოლა, დაინახა, მისი „სტავლა“ წყაროს მოჰქონდა. მან უცბად შესძახა:

— წყაროს მიაქვს ჩემი სტავლა. და იგი წყაროს გამოუდგა.

დედა უფრო დაღონდა შვილის ასეთი მოქმედებით და მიაძახა:

— ლარისაი, გონს მოდი, შვილო, წყალს არაფერი წაუღია.

ლარისას დედის სიტყვები არ გაუგია. მისდევდა თეთრ წერტილს, რომელიც წყაროს მიჰქონდა. დაეწია, დაიჭირა და გულში ჩაიკრა.

— დედავ, ჩემო ყველავ, სტავლა დავიჭირე.

შვილის ასეთი მოქმედება დედამ ავადმყოფობას მიაწერა.

— შვილო, ავად თუ ხარ, მითხარ, ნუ მიმალავ.

ლარისამ კითხვაზე არ უპასუხა.

— დედავ, ხედავ სტავლას — და ხელი დაადო ლენინის სურათს — სტავლა არის, სტავლა.

— ვინ გითხრა სტავლა არისო, შვილო?

— ინჟინერმა. წასვლის დროს მომცა და მითხრა სტავლა არისო.

დედამ აღარაფერი უთხრა „სტავლით“ გატაცებულ შვილს, მოჰხვია ხელები და სახლში წაიყვანა.

ცაზე ნაცრისფერ ღრუბელთა ქარავანი მიქროდა. ქარი ღრიალით ეხეთქებოდა მიდამოს.

მიდის დედა-შვილი. დაინახეს მათ სახლთან ხალხი მოქუჩებული. შეშინდათ. დედამ ლარისას ხელი უშვა და, ფერმეცვლილი, ჩქარი ნაბიჯით გაემართა ხალხისაკენ. ხევსურნი ვიღაცას შემოჰხვეოდენ ცნობისმოყვარეობით. ყველა მას რაღაცას ეკითხებოდა.

უცნობი წამოდგა. ის იყო დააპირა სიტყვის თქმა ერთი დედაკაცისთვის, რომ შორს დაინახა მომავალი ლარისა წიგნაკით ხელში.

რამდენიმე წუთი, და ლარისა უცნობს მიუახლოვდა.

— ხევსურო, წამოხვალ ქალაქში?

ლარისამ თავი მაღლა ასწია, თითქოს ინჟენერი კი არა, მოლანდება ყოფილიყოს მის წინ. ლარისა ვერ არჩევს, თვალები მთლად აერია.

— გოგონა, სწავლისათვის წამოხვალ? განმეორდა უცნობის ხმა. ლარისა გამოერკვა.

— წამოვალ, რაით არ წამოვალ! მთელის აღფრთოვანებით წამოიძახა ცქრიალა გოგონამ.

დედა ახლა მიხვდა რაშიც იყო საქმე. ლარისა სიხარულით ერთ ადგილას ვერ ჩერდება, ხან დედასთან მიდის, ხან ინჟენერთან. ხან ერთს შეხედავს, ხან მეორეს.

— ჩემი ერთადერთო ყველავ, დედას ვისლა უტოვებ?

დედა დაღონდა შვილისგან მარტო მიტოვებისათვის, მაგრამ ინჟენერმა ანუგეშა: წაიყვანს ლარისას, კარგად შეინახავს, ასწავლის და ნასწავლ შვილს დაუბრუნებს.

დედამ უკანასკნელად ჩაიხუტა საყვარელი შვილი და თმებზე ხელი გადაუსვა.



რიონჰესის ჯებირი

გიყვარდეს მთები, გიყვარდეს სოფელი, არ დაივიწყო მოხუცი დედაშენი ჩემო ყველაჲ.

და გადაკოცნა. დედის ცრემლებმა ლოყები დაუსველა პატარა გოგონას.

ლარისამ დედას თავი მაღლა აუწია, ცრემლები მოსწმინდა და უთხრა:

— ნუ ტირი, დედავ, ნასწავლი შვილი გეყოლები.

ერთი კიდევ ჩაეხუტა დედა-შვილი ერთმანეთს და...

— მშვიდობით, საყვარელო სოფელო, მშვიდობით დედავ და ხევსურნო, მშვიდობით ზაირ, — მიუბრუნდა ძროხას, დაუკოცნა თვალები. ძროხამ იგრძნო მზრუნველის მოშორება, შეზმუვლა, დაულოკა ლოყები.

— მშვიდობით... მშვიდობით...

ლარისა მისდევდა ინჟენერს და იღიმებოდა ისე, როგორც ბუნჩულა გაზაფხული.

**იოსებ ლაცაბიძე.**

# ჩაის ძირი

პოემა.

ნაწილი პირველი.

**1. ჩაი და ჩაის სერვიზი**

ჩაქვის ჩაი,
ჩასხმული მჩატე ჩინურ ფინჯანში,
ფერი ქარვად ასხმული,
ფაიფურთან მიჯნაში
კოვზი თეფშზე მწოლარე,
თეფში შემოფერილი,
ჩაიდანი მცონარე,
მუცელგამობერილი.
სამოვარი მღერალი,
ორთქლი ოფლად
მდინარე,
და საშაქრე მცქერალი,
თეთრად კბილებმჩინარე.

**2. დიტოს ნატვრა**

ჩაი ხომ მცენარეა,
იზრდება თბილ მხარეში,
სადაც მზე მცინარეა
და წვიმების თარეში.
„რა მხარეა ის მხარე,
ნეტა შემომატარა,
ზღვაც მანახა მქუხარე!“ —
ნატრობს დიტო პატარა.
მაგრამ თვე თვეს გაექცა,
და ეგ ნატვრა შხამითა,
დღე მოწყენად გადექცა
და სიზმრებად ღამითა.



რიონჰესის ჯებირი

**3. დიტოს სოფელი და დიტოს ლტოლვა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხშირად ფართე რუკაზე
ჰვრეტს შავი ზღვის ნაპირებს,
ფიქრით ევლება თავზე
და შემოვლას აპირებს.
არ იზიდავს დუხჭირი
თავის სოფლის ცხოვრება,
სიღარიბე და ჭირი,
ლამის გამათხოვრება.
წაქცეული ქოხები,
დაქცეული ყანები,
დათიშული გლეხები,
ბნელი, ნაყაყანები.
ყველგან შვებით ნამული
ბრძოლა, ძლევა, მხნეობა,
აქ საბჭოთა მამული,
იქ კოლმეურნეობა...
და ფრთაშლილი ცხოვრების
შუქი შვიდფერ ირხევა,
მისი გულიც აქეთ რბის,
წავა, არ დაიხევა.

**4. ჩაქვისაკენ.**

გაზაფხულდა.
ჩადრს იხსნის
მზე პირშემობურვილი,
და დიტოსაც დიდი ხნის
აუსრულდა სურვილი.
მამას ჩაქვში მიჰყვება,
ამოისხა ქარები,
ვინც შეხვდება უყვება
ენაანაჩქარები.
დღეს კი დილაადრიან
დარბის, იბანს, ალაგებს,
ბარგი გამოათრია,
ეძებს ტოლ-ამხანაგებს.
და დაღამდა.
ოხვრითა შეირხა ორთქლმავალი,
დიტომ ტანის მოხრითა
ააყოლა გზას თვალი...
და მილუკარებელი
მიქრის ფიქრმიცემითა
ჩქარი მატარებელი,
ჩქარი გულისცემითა.

**5. ჩაქვაში.**

ჩაქვაშია.
ასრულდა!
ჩაქვაშია ნამდვილად!
რაც უნდოდა, რაც სურდა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეუსრულდა ადვილად'
ცა ღრუბლებად გაშლილა,
ზღვაზე ქავლობს იები,
მწვანე ზღაპრათ გაშლილა
მწვანე პლანტაციები.
შესევია ფერდოებს
ჩაის ბუჩქის ჯარები,
მათ უთვალავ ურდოებს
ვერსად მიეფარები.
გზებზე ლამაზ ქოლგებით
დარაზმულა" პალმები,
შორს დაბლობში ბორგებით
ჩანს ბამბუკის კალმები.
ჩაქვის წყალიც დუდუნით
მოუმღერის ბალახებს,
ყველგან ავტოს გუგუნი
და შრომა გულს ალაღებს.



## პლანტაციაში.

### 1. ხვნა

ირიქრაქა...
                    მზემ სხივი
ლაჟვარდს შემოაპარა,
ველზე შეაკრთო მძივი,
ხევით ნისლი აყარა.
და გარემო მთა-ბარი
ჟრიამულმა დაფარა,
დიტოც მუშებში არის,
ეხმარება პატარა.
შეექიდა ვეფხივით
მკრივ ნიადაგს ტრაქტორი,
შეუძახა მეხივით,
მძლავრად დაარტყა ტორი.
პირალმასა საკვეთით
გულს დაასვა იარა,
სწრაფად მთელი ნაკვეთი
მოხნა, შემოიარა...
და ღიღინით გაუდგა
თავის გზას უდარდელად,,
მოხნულს სისხლი ჩაუდგა,
ხნული აწითლდა ველად.
დიტო ფართე თვალებით
უცქერს განახარებს,
აგონდება წვალებით
მომუშავე ხარები....
და ადარებს ძველებურს
სახნისს მაჩანჩალასა,
გლეხის შრომას უმადურს,
სულ რომ ეძებს ჩალასა.

### 2. ნიადაგის გაწმენდა და დამუშავება.

სამი დღეა წვიმაა,
წვიმა კოკისპირული,
ცა იქცევა. გრგვინვაა,
მიწაა განწირული.
ზღვამ ნაპირი წაიღო,
ხევში ღმუის ღვარები,
როგორც იქნა, გაიღო
მძიმე ღრუბლის კარები.
მზე გორაკზე ჩამოჯდა.
სხივთა ჩანგის ჟღერითა,
ცა ხალისით ალურჯდა,
გარემო სიმღერითა...
აქ მუშათა მწკრივები
მწყობრი შემოტევითა,
ნიავ ნალივლივები
მიიწევენ ზევითა.
ასი მკლავი ძლიერი
აიმართა თოხებით,
ცვივა მიწა ფხვიერი
შრომის გზა ამბოხებით.
სად გაშლილა,
                    სად არის
შეჯიბრი უკეთესად!
ნიადაგიც მზად არის
ჩაის თესლის სათესად.

### 3. ჩაის თესვა.

გალმა ტალღა გუგუნებს,
და გამოღმა ვაჟები,
აქეზებენ გოგონებს
თვალებ ნარიჟრაჟები.
აქაც დიტო, იქაცა,
დიტო ეძახის ყველა,
შრომობს, არ მოიქანცა,
დარბის, ხტის ცუგრუმელა.
გრძელი თოკით ნაკვეთზე
ზომავს, მართავს, ასწორებს,
მეტრ და სამ მეოთხედზე,
მწკრივს მწკრივიდან აშორებს,
რომ შეეძლოს მანქანას
თავისუფლად ტარება...
— ჩაი უნდა ქვეყანას,
სთესე, ნუ გეზარება!
და გუგუნში ჩაკვესეს
ცეცხლი გიჟურ კვესითა,
აქ უბრალოდ მოთესეს,
იქ — ტრანშეის წესითა,
რომ არ მოხდეს ფერდობით
ჩამორეცხვა საკვების...
ცალკ-ცალკე და ერთობით
ყველა ღირსია ქების.

### 4 გზად სენერგეში

ბინდმა დაჰკრა.
                    შინ მიდის
დიტო ქანცმილეული,
ფიქრობს:
                    ,,წახდა სიმინდის
აწ მეფობა ძლეული.
პირველობა რჩება სხვას,
დრო კლავს ჯავრით
                    დალრეჯილს''

შუქი ლაფრენს ბუჩქთა ზღვას,
კოხტად გასხლულ-გაკრეჭილს.
მაღლე მასზე შრიალით
დასხდებიან დუყები,
გაცქერს თვალთა ჩხრიალით
და გულმნაჩუყები.
აქ — მოლურჯო ცის თაღი
დაღმით დანაყვანისა,
მანდარინის ზღვა, ლაღი,
ირგვლივ ღელვა მწვანისა,
იქ — ფერდობი ბარდული
ფართე საფრის ფარდებით,
ქვეშ სანერგე,
              ჩართული
ჩაის ნორჩ ნაზარდებით.
ვინ მოქარგა,
              ვინ ლება,
ეგ მხარე ეგზომ კარგი,
ნეტარებით ვერ ძღება,
თვალი შიგ დანაკარგი.

**5. ჩაის კრეფა**

ბაღში ბუჩქზე ნასევდი
ბულბულის ხმა გაისმა,
,,მე გულს გიალმასებდი'' —
ღამეს უთხრა მაისმა.
და ცამ დილის ცქრიალით
შემოსცინა მთა-გორებს,
ველზე მოლი შრიალით
ზურმუხტ ტალღებს აგორებს.
აცვენს ცელქ ცვარს ციმციმით
სიო ლაღი და მალი,
ტოტს ვერ იჭერს სიმძიმით
ალუჩა და ტყემალი.
ფერად ფერთა პეპლებში
მზე კრთის გასაკვირველი,
ახმაურდა სოფლებში
ჩაის კრეფა პირველი.
ჩაქვშიც ჟრიამულია,
ჩაქვშიც ჩაის კრეფაა,
ყველგან სიხარულია,
ყველგან ავტოს ყეფაა,
და ნაზ ბუჩქებს
              სხივნათოვს,
დიტოც მარჯვე ხელითა
ყლორტის წვერზე სამ ფოთოლს
აცლის მაკრატელითა.
და ივსება ასობით
კალათები,
              გოდრები,
ხარობს უხვ მაისობით
მოკეკლუცე მიდვრები.

**6. ზაფხულის სამუშაონი.**

ჩაის ბუჩქსაც ნიადაგ
მოვლა უნდა, ფერება,
ზაფხულობით ნიადაგს—
თოხნა, გაფხვიერება.
და კრუხივით მწკრივებში
დაკაკანობს მოტორი,
იბრძვის სარეველებში
კოხტა კულტივატორი.
მაგრამ ამით თავდება,
განა, შრომის სხვაობა,
მას ვერ აუთავდება
წელთა წყვილი თაობა.
დიტომ ბევრი იწვალა
ამ ბუნების სკოლაში,
მაგრამ ბევრიც ისწავლა
მავნებლებთან ბრძოლაში.

**7 სათესლე პლანტაციაში.**

მთის ფერადი ფერდობი
შემოდგომამ დალარა,
წაბლის ტყესაც უნდობი
შეეპარა ჭალარა.
ახიდულმა ჭადარმა
დარდით თავი დახარა,
ნაადრევმა ავდარმა
ზღვით ღრუბელი აყარა.
სიომ სისხამ დილითა
სუსხი ჩამოატარა
და შეფიფქა რთვილითა
ჩაის ბუჩქიც პატარა.
მაგრამ მაინც ზაფხულის
ეშხით ანატაცია
ფერდობებში ჩაფლული
სათესლე პლანტაცია.
მის თეთრ-ქორფა ყვავილებს
ქარი ქროლ ით აოტებს,
ხან თავზე შემოივლებს,
ხან შეუსევს კვლავ ტოტებს.
ტოტებს, მრავალ ნაყოფით
დამძულს და ძირს დახრილს,
შემდეგ, ნახე რა ყოფით
დაუქროლებს, წამოყრის.
მალე აქაც იწყება
ჩაის თესლის აღება,
დიტო უცდის, იწვება,
გული ეყოჩაღება.
სურს ჩაიგდოს შემთხვევა,
ისწავლოს—როგორ ხდება
მისი კრეფა, და რჩევა,
გარჩევა, დამზადება-
ეს შემთხვევაც მიეცა,
მორჩა, რაც აწუხებდა,
და ერთ დილას, როცა ცა
წარბებს მწვანედ იღებდა,
შეესიენ რთვილდაყრილ
ბუჩქებს გოგო-ბიჭები
და სიმძიმით ძირს დახრილს
აუმჩატეს ბეჭები...

დ. ცვარ-ნამი.

ეროვნული ბიბლიოთეკა



აგარის შაქრის ქარხნის აირის ღუმელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სპარსეთის ბავშვები

## 1

— შეჩერდი! ვინ მოდის? – საზღვარზე მდგომმა წითელარმიელმა მაგრად მოუჭირა ხელი შაშხანას და ხელმეორედ დაიყვირა:

— შეჩერდი!

ხიდზე, სიბნელეში, ოდნავდასანახავად მოჩანდა ხალხი. წითელარმიელი მივიდა ახლო. მან ვარსკლავების სინათლეში აშკარად გაარჩია ბავშვების გროვა და გაკვირებულმა თოფი ძირს დაუშვა.

— სად მიდიხართ ამ შუაღამისას ასე უდედმამოდ, უპატრონოდ? ალბათ ველზე გზას დაკარგავდით, აქ, მდინარის გასწრივ გზა გადაჭრილია, რადგან საბჭოთა კავშირისა და სპარსეთის საზღვარი გადის.

—ვაშა! საბჭოთა საზღვარი! — პასუხად ერთხმად დაიბღავლა თურქმენი ახალგაზრდების ორმა ათეულმა.

ბავშვები შეგროვდენ არმიელის ირგვლივ. ისინი ერთმანეთს არ აცლიდენ ლაპარაკს:

— არა, გზა არ დაგვიკარგავს... ჩვენ გამოქცეულნი ვართ სპარსეთიდან და სასწავლებლად მივდივართ საბჭოთა თურქმენისტანში!

— სასწავლებლად? — შეუბრუნა კითხვა არმიელმა — ნუთუ თქვენში, სპარსეთში სკოლები არ არის?

— ჩვენც სწორედ მაგ სპარსეთის სკოლას გამოვექეცით, იქ ჩვენ არ გვასწავლიან, მათ უნდათ მხოლოდ სპარსეთის ჯარისკაცებად გამოგვზარდონ, სპარსეთის შაჰის დამცველებად გამოგვიყვანონ.

გაკვირებულმა წითელარმიელმა თავი გააქნია, მოტრიალდა და, ლტოლვილი ახალგაზრდების თანხლებით, გაემართა პატარა სახლისაკენ, სადაც მოთავსებული იყო სასაზღვრო სადარაჯო.

ბავშვები სიცივისაგან კანკალებდენ, მაგრამ სახლში საკმაოდ თბილოდა, შიგ რამდენიმე წითელარმიელი იმყოფებოდა.

არმიელებმა ბავშვები ღუმელთან დასვეს და ჩაით გაუმასპინძლდენ. ლტოლვილები მალე გათბენ და თავიანთი თავგადასავლის ვრცლად მოთხრობა დაიწყეს.

— ჩვენ ვცხოვრობთ აულ გიუმუშთაფაში. ერთის მხრით — ფართე თურქმენიის ველი გვაკრავს, მეორის მხრით — კასპიის ზღვა. ჩვენი მამები დიდი იალქნიანი ნავებით მთელ ზღვაზე დაცურავენ, ზოგი თევზაობს, ზოგსაც საქონელი გადააქვს.

მათ გააქვთ საბჭოთა ნავსადგურებში მატყლი, ხალიჩები და სხ. სპარეთში კი შაქარი, ჩითი და ჭურჭლეულობა შემოაქვთ, ზოგიერთი კი ჯოგს ამრავლებს და ხორბალსაც თესავს. ჩვენ სულ კარვებში ვცხოვრობთ. მხოლოდ მდიდარ ვაჭრებს თუ უდგათ დიდი ხის სახლები!

მთელ მხარეს სპარსეთის ოფიცრობა განაგებს. მათ გახსნეს ჩვენს აულში სკოლა და გვიბრძანეს გვესწავლა, პირველად გაგვეხარდა! იმედი მოგვეცა, რომ თურქმენულ წერა-კითხვას შევისწავლიდით. მაგრამ თურქმენულის ნაცვლად სპარსულის სწავლება დაგვიწყეს. ჩვენ ხომ სრულებით არ ვიცოდით სპარსული!

ამის გარდა გვაიძულეს, სკოლაში ყველას ერთნაირი ფორმის ტანისამოსი ჩაგვეცვა! ჩვენი მშობლები კი უმეტესად ღარიბებია და ფორმის ტანისამოსის საყიდელი ფული სადღა ექნებოდათ! ღარიბი მშობლები კიდეც მივიდენ თურქმენ ოფიცერთან და სთხოვეს, ბავშებისათვის სკოლაში ძველი ტანისამოსით სიარულის ნება, დაერთო, მაგრამ ოფიცერმა მათ ცივი უარით უპასუხა: ბრძანებას გავცემ, სცემონ ყველას, ვინც მოწაფეს სპარსული ქუდით, შავი მუნდირით და ასეთივე შარვლით არ გამოაწყობსო.

ტიროდენ საწყალი თურქმენები...

სპარსელი ჯარისკაცები ჯოხებით სცემდენ მათ. მეტი გზა არ იყო, ჩვენი ღარიბი მშობლები ყიდდენ უკანასკნელ ქათამს, სესხულობდენ ფულს მდიდარი ვაჭრებისაგან და იძენდენ ჩვენთვის ფორმის ტანისამოსს. შემდეგ კი, მშივრები, მუქთად მუშაობდენ მოვალე ვაჭართან; ხნავდენ, თევზს იჭერდენ, მიქონდათ საქონელი და სხვა.

— სკოლაში არა გცემდენ? — შეეკითხენ წითელარმიელები.

—- მაშ! ჩვენც გვცემდენ! სპარსულ ენაზე სწავლა ძალიან გვეძნე-



ლობოდა. ყველა მასწავლებელი სპარსელი იყო. გვცემდენ სახაზავებს თავზე, ყურებსაც გვიწევდენ. სპარსელი ჯარისკაცი ,,გიმნასტიკა''-ს გვასწავლიდა და მეცადინეობის დროს სახეში და პირში გვცემდა. ხანდახან კი მთვრალი ოფიცერი გამოივლიდა და ისიც მათრახით და ჯოხით გვცემდა. ყველა ჩვენ გვცემდა! ყველა სხვადასხვა ადგილს და სხვადასხვა საგნით!

კიდევ დიდხანს განაგრძობდენ ლტოლვილი პატარა თურქმენები თავიანთს თავგადასავალს სპარსულ კოლაში.

— მშობლები არ გებრალებათ? — შეეკითხა ერთი წითელარმიელი.

ბიჭები გაჩუმდენ. ზოგიერთი ატირდა.

— ცხადია, მშობლები გვეცოდება, — უპასუხა ერთმა ყმაწვილმა, — მაგრამ სპარსელების ჯოხსა ველარ გავუძლეთ! როცა ჩვენ შევიტყეთ, რომ საბჭოთა კავშირში ყველა ხალხი თავის ენაზე სწავლობს, გადავწყვიტეთ, დაგვეტოვებინა ჩვენი მხარე, ოჯახი, მშობლები და გამოვქცეულვიყავით საბჭოთა ქვეყანაში. გვეძნელება მშობლების მოშორება, მეტად მძიმეა ამ მხრივ ჩვენი მდგომარეობა, მაგრამ უფრო მძიმე სპარსული ჯოხი...

2

თვალუწვდენელია თურქმენიის ველი! როგორც შუაზღვაზე არ ჩანს ნაპირები, ისე აქაც, უსაზღვრო ველზე, თვალი ვერაფერს შეამჩნევს გარდა დაუბოლოვებელი დაბლობისა და ლურჯი ცისა!

ერთი აულიდან მეორემდე ათი კილომეტრის გავლაა საჭირო. გზაზე გხვდებათ ნოყიერი მინდვრები და სათიბები. ეს მინდვრები და სათიბები მრავალი ბილიკითაა ყოველმხრივ გადასერილი. უცხო მგზავრი აქ ადვილად დაკარგავს გზას და დაიბნევა.

შემოდგომით, ძლიერი წვიმების გამო, მთელი ველი ტბებით იფარება. ტბებზე დღე და ღამე შეუწყვეტელი ყვილ-ხივილი ისმის შორეული მხარეებიდან მოფრენილი უამრავი იხვისა, გედისა და სხვა ფრთოსნებისა.



ამწევი მანქანა რიონჰესზე

დიდი გალაქული ავტომობილი ნიაღვრით დაფარულ შარაგზას მიჰყვება და წყლის დიდრონ შხეფებს აქეთ-იქით ისვრის. შეშინებული, დამფრთხალი ფრინველთა გუნდი კივილით ადის ჰაერში. აქა-იქ, ამაღლებულ ბორცვებზე კი, მობალახე, ტალახით გარუხფერებული, თურქმენული კამეჩები მოახლოვებული მანქანის გრიალს ყურს უგდებენ. ავტო ახლოვდება, და ეს ვეებერთელა ცხოველებიც უფრო ფრთხებიან ხოლმე, ისინი წინაფეხებს მიწას უბაგუნებენ და რქებს მრისხანედ წინ იშვერენ. შოფერი საყვირს სცემს. კამეჩები ერთს გაიწევენ სწრაფად გამალებული მანქანისაკენ და ძუნძულით გამოეკიდებიან უკან.

გალაქული მანქანა ქარივით მიქრის ველზე. ტყავის რბილ საჯდომზე ამაყად ზის სპარსეთის ოფიცერი, თურქმენიის ველის სამხედრო გუბერნატორი, გვერდით მისი თანაშემწე ზის, წინ კი — შოფერთან — თოფიანი ჯარისკაცი.

— უფრო სწრაფად გააქანე მანქანა! — უყვირის გუბერნატორი შოფერს, — დიდი ხანია მოვდივართ, ხომ არ გადავცდით სწორ გზას?

— არა, ბატონო პოლკოვნიკო, უპასუხებს შოფერი, სწორი გზით მივდივართ. აი კიდეც მოჩანს ხ
პატარა მდინარეზე. გიუმუშთაფა
კიდევ ორმოცი კილომეტრი დაგვ

პატარა მდინარე კარასუს ხის ხ
ზე მანქანა სწრაფად მიგრიალებ
უცებ ძელები შეინძრა და ხი
შუა ნაწილი ჩაინგრა.. მანქა
ძირს ჩაეშვა, მაგრამ უკანა თვლ
ზევით დარჩენილ ხეებს გამოედო
ავტომობილი ვერტიკალურად ჩა
ეკიდა ჩანგრეულ ხიდზე...

შოფერმა და ჯარისკაცმა შეშ
ბული ოფიცრები ნაპირას გაიყვან

— შეხეთ, ხიდი გადახერხილ
შეკივლა ჯარისკაცმა და უჩ
ოფიცრებს მართლაც გადახერხი
ძელები.

— წყეული თურქმენები! — შ
გინა გუბერნატორმა, აქ ახლა ა
ერთი ავტომობილი არ დადის, გარ
სამხედრო ავტომობილისა! ცხად
ხიდი მე გადამიხერხეს!, მათ უეჭველ
იცოდენ, რომ მე დღეს გიუმუშ
ფაში მივდიოდი. კარგი, ეგრე იყ
მე მათ ვაჩვენებ! მათ კიდევ არ იც
კარგათ, თუ რა არის ჩვენი ძალ
ახმედ! გასწი საჩქაროდ, მონახე
ლო-მახლო თურქმენები, შეაგრო
და მოიყვანე აქა! მანქანა ჩქარა
და ამოვიტანოთ.

ჯარისკაცმა ხელი ქუდთან მიიტა
სწრაფად მოტრიალდა და ჩქარი
ბიჯით გასწია.



ეროვნული ბიბლიოთეკა

— მხეცები არიან სწორედ ეს თურქმენები, - დაუწყო ლაპარაკი გუბერნატორს მისმა თანაშემწემწემ. — რამდენი წელიწადია, რაც ჩვენ ეს მხარე დავიპყარით, მაგრამ მოსახლეობა ჯერ კიდევ არ ემორჩილება სპარსეთის კანონებს. ორი წლის წინათ ჩვენმა დიდებულმა შაჰმა ბრძანა სპარსეთის ყველა მოქალაქეს შავი ქუდი დაეხურა. მაგრამ ესენი დღემდე ისევ თავიანთ ტყავის „ფაფახებს“ ატარებენ. და, წარმოიდგინეთ, ეტლზე ჯდომის დროსაც კი ვერ იშორებენ ამ ტყავებს.

ხიდს ურემი უახლოვდებოდა. შენიშნეს თუ არა მეურმე თურქმენებმა სპარსელი ოფიცრები, შეშინებულებმა სწრაფად მოიშვლიპეს თბილი „ფაფახები“, დაყარეს ურემზე და საწრაფოდ მოპარსულ თავებზე შავ-არშიაშემოვლებული კარდონის „კეპკები“ დაიხურეს.

თურქმენები ურმიდან ჩამოხტენ და დაბალი სალამით მივიდენ ოფიცრებთან.

— როდის უნდა აასრულოთ თქვენ შაჰის ბრძანება? — დაიყვირა პოლკოვნიკმა, — ამდენს არ გეუბნებით და თქვენ მაინც ისევ ამ ფაფახებს ატარებთ!

— გვაპატიე ბატონო გუბერნატორო, დაიწყეს მოკრძალებით თურქმენებმა. — ახლა შემოდგომაა, წვიმებია, ცივი ამინდია! ამიტომ... რომ არ გავცივდეთ, იძულებული ვართ, ტყავის ქუდები დავიხუროთ.

—გაჩუმდით... ნუღარ ლაპარაკობთ! შაჰის შრძანება უნდა სრულდებოდეს! დაგსჯით!

ამასობაში უკვე გამოჩნდა თურქმენების დიდი ჯგუფი. ეს ხალხი მახლობელი აულიდან მოჰყავდა გაგზავნილ ჯარისკაცს.

გუბერნატორმა ბრძანა მანქანა საჩქაროდ ამოეტანათ. თურქმენებმა ასწიეს ავტომობილი და ქვეშდადებული მორებით გაიტანეს ნაპირზე.

როცა მუშაობა გათავდა და შოფერმა მანქანა მომართა, გუბერნატორი ისევ რბილ საჯდომზე დაჯდა და თურქმენებს ბრძანებით დაუყვირა:

-- ხიდი დილამდე შეაკეთეთ, თუ დააგვიანეთ, ტყავს გაგაძრობთ. შენ, ახმედ! — უბრძანა ჯარისკაცს, — დარჩი აქა და თვალყური ადევნეამათ, რომ შეუსვენებლად იმუშაონ. თქვენ კი, თურქმენებო, ჯარისკაცს საჭმელი მოუტანეთ, თანაც აქ დგომაში მას ფულიც უნდა მისცეთ, გესმით?

შოფერმა მანქანა დასძრა, და ავტომობილი სწრაფად გაქანდა ველზე.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

**თარგმანი — ნოე დაფნარელის.**



ნიშანში სროლა

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

ცა იწმინდება,
მზეა და თბილა,
მიდამოს უკვე
იცვალა ფერი:
თოვლი დნება,
და ნაკადულებში
და ხევ-ხუვებში
მოქუხს ლანქერი!
თებერვალია!
და გაზაფხულიც
მოდის თანდათან
სხივით, სითბოთი,
მინდორში, ბაღში,
თოვლის მაგივრად,
კვირტით ირთვება
ხეების ტოტი!
სითბოა — სითბო!
მკვდარმა ბუნებამ
ნახევრად უკვე
გამოიღვიძა,
კოლმეურნენიც
მარჯვედ არიან
და ამზადებენ
მოსახნავ მიწას.
ბრიგადელები
ადგენენ გეგმას,
არ ისვენებენ
დღითა და ღამით,
რომ აღარ დარჩეს
ერთი გოჯიც კი
დაუთესავი
და მოუხნავი!
პიონერებიც
დაფაცურობენ,
მოსცილდენ უკვე
ცეცხლსა და ბუხარს,
ამ ცელქებს საქმე
იტაცებს, მაგრამ
განსაკუთრებით
მათ „ხოლტი“ უყვართ!
„ხოლტი კი... „ხოლტი“
ჯერ კიდევ ჩუმად
და უსიტყოდ დგას
დადუმებული,
თავს დასტრიალებს
მას ტრაქტორისტი,
აწყობს, ამზადებს,
ზეთავს და უვლის.
მალე ყამირზე
„გაიბულრავებს“
დამკვრელი ტემპით
ფოლადის ხარი,
ჩვენც მედგრად ვიყოთ,
გოჯიც არ დაგვრჩეს
დაუთესავი
და მოუხნავი.

**ნოე დაფნარ**

# რაკეტა ს.ს.ს!

### მოქმედნი პირნი;

**პროფესორი გარატი** — მოხუცი მეცნიერი, აღმომჩენი.

**დუგლას** — მისი მოსამსახურე, ყოფილი მეზღვაური.

**მისტერ ბერტი** --- პროფესორის ასისტენტი.

**კაპიტანი მაკლინი** — სამხედრო მინისტრის მდივანი.

**მისტერ კერი** ავტომობილის ქარხნის მეპატრონე

**ტომ** | **სამ** | პატარა ზანგი ბიჭები, მისტერ კერის მსახურნი.

**გაზ. ,,საღამოს მოამბის‘‘ კორესპოდენტები.**

**პასტორი.**

**ამხ. პეტრე**—საბჭოთა სახელმწ. მეურნეობის დირექტორი.

**კოლა** | **მიშა** | **პეტო** | პიონერები

**აგრონომი**

### მოქმედება პირველი.

**სურათი პირველი.**

(პროფესორი გარატის კაბინეტი. დგას ბიურო, საწერი მანქანა, გაუმჯობესებული ტელეფონი — მილის მაგიერ ხმამაღლამოლაპარაკე, რეკს ზარი).

**დუგლას**. აბა, ერთი უყურე, ისევ ტელეფონი!

(კნოპკას თითს დააჭერს).

**ხმა.** (ხმამაღლა მოლაპარაკეში).

**დუგლას.** არა, ის არ არის. პროფესორს სძინავს.

**ხმა.** თქვენ გელაპარაკებათ გაზეთ „ახალი ამბავის„ კორესპონდენტი. გაიგეთ, როდის შეიძლება მიმიღოს პროფესორმა.

**დუგლას.** ჰაი, გეცა ღუზა ქუსლებში!

**ხმა.** რაო?

**დუგლას.** თავი დაანებეთ პროფესორს, მოასვენეთ, **(მოშორდება ტელეფონს).** მხოლოდ ამ წუთში დაწვა საბრალო. **(ზარის წკარუნი)** ისევ რეკენ? **(უერთდება ტელეფონს)** ალო?

**ხმა.** გელაპარაკებით გაზეთ „დასურათებული ფურცლის“ რედაქციისაგან, რა მდგომარეობაშია რაკეტის საქმე. ვინ უნდა გაფრინდეს? როდისაა დანიშნული პირველი გაფრენა.

**დუგლას.** ჰაი, გეცა ღუზა ქუსლებში! ახლა ეს გადაგვეკიდა (ტელეფონში) პროფესორს სძინავს. მხოლოდ ერთი საათის შემდეგ გაიღვიძებს.

**ხმა.** გადაეცით, რომ კორესპონდენტი მოვა ჩვენგან.

**დუგლას.** გადავსცემთ.

**ხმა.** არ დაგავიწყდეთ.

**დუგლას,** კარგი, კარგი! (შორდება ტელეფონს). ჯერ კიდევ. არ გადავრეულვარ, რომ პროფესორი გავაღვიძო გათენებამდე (ზარი) გეცა ღუზა ქუსლებში! პროფესორი არ არის, არა, არა!

**ხმა.** ეს თქვენ ხართ, დუგლას?

**დუგლას.** აჰ, მისტერ ბარტი, უკაცრავად, ვერ გიცანით. ტელეფონის ზარმა დღეს სული ამოგვართვა.

**ხმა.** ხუთი წუთის შემდეგ ლაბორატორიაში გავნჩდები.

**დუგლას.** მობრძანდით, მისტერ ბარტი! უნდა განვამხოლოო აპარატი, თორემ კიდევ დარეკავენ. (ამხოლოებს). სანამ არავინ მოსულა, კაბინეტს დავალაგებ. (მაგიდებს თავთავის ადგილას ლგამს მტვერს წმენდს) ჰა, გეცა ღუზა ქუსლებში! კინაღამ არ დამავიწყდა წერილის წაღება. გუშინ აქ დავდევი მაგიდაზე. არ არის... ნეტავი სად გაქრა... აჰ, აჰ, უბედურება თუ გინდა ეს არის! იქნება აქ სადმე გადავარდა? (ფორთხვით ეძებს, შემოდის მ-რ ბარტი).

**ბარტი.** გამარჯობათ, ბატონებო! (შენიშნავს დუგლასს მაგიდის ქვეშ) რაო, დუგლას, რატომ იმალებით მაგიდის ქვეშ?

**დუგლას.** აჰ, მისტერ ბარტი, ცუდი საქმე მომივიდა, წერილი დამეკარგა. პროფესორმა მთხოვა საბჭოთა კავშირში გამეგზავნა და მე, ბებერმა სულელმა, სადღაცა აქ დავდევი და ვეღარ ვნახე. ჰაი, ეცეს ღუზა ქუსლებში! მთელი ოთახი ათჯერ მაინც გადავაბრუნე.

**ბარტი.** ნუ სწუხართ, დუგლას, წერილი მე თვითონ გავაგზავნე გუშინ.

(შემორბის **კორესპონდენტი** ფოტო აპარატით ხელში).

### სურათი მეორე.

(მ-ჩ კერის ფართე აივანი. შემოდის ტომ)

**ტომ.** თვითონ ბატონმა მიბრძანა მაგიდის მოტანა, სტუმრებს ელის დღეს და აქ უნდა მიიღოს.

**სამ.** წავიდეთ, მოვიტანოთ! (მიდიან და მოაქვთ მაგიდები)

**ტომ.** მოიტა, ფუთხილად, აქ დავდგათ.

**სამ.** სუუ! ბატონები მოდიან.

**კერი.** (შემოდის სამხედრო მინისტრის მდივანთან ერთად). გთხოვთ აქეთ მობრძანდეთ, კაპიტანო, აქ ბევრად უფრო გრილა, აი სავარძელი. ტომ და სამ, შეგიძლიათ წახვიდეთ (ტომ და სამ მიდიან). მაშ თქვენ ამბობთ, რომ თქვენი დავალებით ბარტი თვალყურს ადევნებს პროფესორ გარატის მუშაობას. მერე რა ირკვევა, მოახერხა თუ არა ჯერ გეგმების ხელში ჩიგდება?

**კაპიტანი.** ჯერ ვერ, მისტერ კერი. საქმე ისაა, რომ ჩვენ გვინდოდა თქვენი ქარხანა რაკეტების წარმოებაზე გადაგვეყვანა.

**კერი.** დიახ, კარგი იქნება. ჩემს ავტომობილებზე მოთხოვნილება აღარ არის.

**კაპიტანი.** იცით თქვენ, რომ ომის დროს გარატის რაკეტები ჩვენთვის ძალიან, ძალიან საჭირო იქნება? რა-

...ების წარმოება თქვენ აუარებელ შემოსავალს გიქადით. მაშ, როგორ, თანახმა ხართ?

**კერი.** თუ საქმე კარგ შემოსავალს მოიტანს, რასაკვირველია, თანახმა ვარ.

**ბარტი.** (შემოდის). გამარჯობათ, ბატონებო! კიდევ დავიჭირე წერილი, ეს მესამეა. ამ გამოტვინებულ ბებერს ძალიან უნდა ურთიერთობა გააბას საბჭოთა ქვეყანასთან (ავტომობილების ყვირილი. ბარტი ჯდება.)

**ბარტი.** აბა, როგორ არის საქმე, ბატონო კაპიტანო!

**კაპიტანი.** დროა საქმეს შევდგეთ.

**ბარტი.** როგორი გეგმა გაქვთ?

**კაპიტანი.** ხვალვე უნდა მივიდეთ პროფესორ გარატის ლაბორატორიაში. გვინდა ფული შევთავაზოთ პირველი საპლანეტაშორისო სასინჯი აპარატის გასაკეთებლად.

**ბარტი.** დათანხმდება? ბებერს ომის შესახებ სიტყვის გაგონებაც კი არ სურს. ჯერ ერთი, დღესაც ლაპარაკობდა, მირჩევნია **სრულიად** მოვსპო ჩემი ნახაზები და მოდელები, ვიდრე სამხედრო საქმეში გამოსაყენებლად მივსცეთ.

**კაპიტანი.** ჩვენ როგორმე უნდა მოვახერხოთ პროფესორის მოტყუება. ჩვენ მივალთ მასთან ბატონ ბანკირთან, როგორც მეცნიერების წარმომადგენელი. ჩვენ გარატს მივსცემთ ქარხანას და ფულს. რაც იქნება, პირველი სასინჯი გაფრენის შემდეგ დავინახავთ. იმედი მაქვს ამ დროის განმავლობაში, შემთხვევით ან არა შემთხვევით, გამოვცინცლავთ ბერიკაცს საიდუმლოს. (სინათლე ქრება)

**სურათი მესამე.**

(პროფესორ ვარატის ლაბორატორია)

**პროფესორი და დუგლასი.**

**გარატი.** აი დუგლას, ხედავ ბოლოს ბედი მეწია. ამ სიბერის დროს ჩემ აღმოჩენას ქვეყანა იხილავს. ჩემი მრავალი წლის შრომის ნაყოფი ახლა საბოლოოდ დამთავრდა; გახსოვს, მეგობარო, ამ ოცი წლის წინათ რას ლაპარაკობდენ ჩემზე— „გადარეული გარატიო?".

დუგლას, როგორ არ მახსოვს, ლუზა ეცეს იმათ ქუსლებში. მე კი დიდი ხანია ვიცოდი, რომ ყველაფერი კარგად დამთავრდებოდა. თქვენ ჯერ კიდევ პატარა ბიჭობისას რაღაც-რაღაც აღმოჩენები გქონდათ. კიბეზეხომ მუდამ დაფრინავდით. ჰე, ჰე, ჰე! ფრენა თქვენ ბავშობიდანვე გეხერხებოდათ.

**გარატი.** მართალია, დუგლას. ახლა კი ჩვენ ბევრ ფულს გვაძლევენ. გავფრინდეთ სხვა შორეულ პლანეტებზე. მართლა აქ ჩემი რაკეტის ნახაზებია, შეინახეთ ესენი ჩემს საწერ მაგიდაში. (შემოდის **ბარტი**)· აჰა, მისტერ ბარტიც მოვიდა. (**დუგლას**) ზევითა უჯრაში, მარჯვნით გესმით?

**დუგლას.** დიაღ, პროფესორო!

**გარატი.** გასაღები კი უკანვე მომიტანე!

**ბარტი.** ნება მიბოძეთ პროფესორო, მე წავიღებ ნახაზებს თქვენს კაბინეტში

**გარატი.** არა, არა. თქვენ აქ მჭირდებით, მისტერ ბარტი. დუგლას, შეგიძლიათ წახვიდეთ. (**ბარტის**) ჩვენ ახლა ეკრანი უნდა მოვამზადოთ ჩემი სადღეისო მოხსენებისათვის. (ჩამოწევენ ეკრანს. ზარი. **დუგლასი გადის**),

**ბარტი.** უნდა შევამოწმოთ.

**გარატი.** კარგად მუშაობს, დიდი ხანი არ არის, რაც შევამოწმე (შემოდის დუგლას)

**დუგლას.** სამეცნიერო ლიგის წარმომადგენელნი, ბატონი პროფესორები მობრძანდენ.

(შემოდიან გადაცმული მისტერ კერი და **კაპიტანი მაკლინი**, ვითომც მეცნიერები).

**გარატი.** აა, დროა, დრო!

**კაპიტანი.** გამარჯობათ, მისტერ გარატ!

**გარატი.** ძალიან სასიამოვნოა სამეცნიერო ლიგის წარმომადგენელთა მოსვლა. ამდენ ხანს ჩემი ცდები და ჩემი წიგნები სულელურად და უსარგებლოდ ითვლებოდა. აღმომჩენის მუშაობა ჩვენ ქვეყანაში ადვილი როდია. ჩვენში მხოლოდ ისეთ აღმოჩენას აქცევენ ყურადღებას, რომელიც შემოსავლის წყაროს იძლევა... ისეთი აღმოჩენა კი, რომელიც სამეცნიერო მიზანს ემსახურება...

**კაპიტანი.** მოკლედ, მოკლედ, პროფესორო! მოდელები სად გაქვთ?

**კერი.** პროფესორო, დრო ძალიან ცოტა გვაქვს და იქნება ჯერ აგვიხსნით, რა არის თქვენი აღმოჩენა?

**გარატი.** ინებეთ, ინებეთ. ამ წუთში. (**გადის ეკრანის უკან, ამზადებს ფარანს და დიაპოზიტივებს**).

**კერი.** მისტერ ბარტი, როგორ არის საქმე?

**ბარტი.** ნახაზები მაგიდის ყუთშია შენახული. როგორც კი სინათლეს დააქრობს პროფესორი, მის კაბინეტში გავალ...

(**სინათლე ქრება**).

**კაპიტანი.** იჩქარეთ, ბარტ, სინათლე გაქრა!



ეროვნული ბიბლიოთეკა

**ბარტი.** ათ წუთში ნახაზები ხელში გვექნება.

(გ ა დ ი ს).

**გარატი. (გამოდის ეკრანის უკანიდან).** ბატონებო, მახლობელ პლანეტებზე მოგზაურების შესაძლებლობის აზრი დიდი ხანია რაც წამოიჭრა. უკვე დიდი ხანია მთელი ქვეყნის მეცნიერები და იმათ რიცხვში ჩვენი ქვეყნის მეცნიერებიც ოცნებობენ მთვარეზე წასვლის შესახებ. ზედმიწევნით არის გამოთვლილი, რომ მთვარე დედამიწისაგან ოთხასათასი კილომეტრით არის დაშორებული.

(დიაპოზიტივი).

უსწრაფესი მატარებლის გაშვება რომ შეიძლებოდეს და გავუშვათ მთვარეზე, ორთქმავალს რაც ძალი და ღონე აქვს უნდა ფრენა, რომ ორას ორმოცდა ათ დღეში მისულიყო. ქვეითა კაცი რომ წავიდეს და იაროს ჩქარა, შეუსვენებლივ, დედამიწიდან მთვარემდე მანძილის გავლას სამი ათასი დღე მოუნდებოდა.

(დიაპოზიტივი).

მაგრამ ცხადია, რომ ჰაერში მოგზაურობა არც მატარებლით და არც ფეხით არ შეიძლება, და ამიტომაც მეცნიერებმა მოინდომეს გამგზავრებულიყვნენ მთვარეზე აეროპლანით. აეროპლანი, რასაკირველია, უფრო ჩქარა მივიდოდა, დასჭირდებოდა სულ ას ოცი დღე. მაგრამ როგორ ფრინავს აეროპლანი? აი როგორ: პროპელერი ეხრახნება ჰაერს და ეწევა წინ აეროპლანს. უჰაეროდ აეროპლანს არ შეეძლებოდა ფრენა. უჰაეროდ ფრინველსაც არ შეუძლია სუნთქვა, და ჰაერი კი, რამდენადაც შორდება მიწას, იმდენად კლებულობს, აი ამიტომაა, რომ ჰაერის გემები იღუპებიან უჰაერო სივრცეში, რომელიც გვაშორებს ჩვენ მთვარეს. ამგვარად უარყოფილ იქნა ეს იდეა და აეროპლანის მაგიერ წამოყენებულ იქნა რაკეტა. კონსტანტინე ედუარდის-ძე ციაოლსკიმ, საბჭოთა ქვეყნის მეცნიერმა.



(დიაპოზიტივი).

პირველმა წამოაყენა ამგვარი წესით მთვარეზე წასვლის შესაძლებლობის იდეა. რაკეტის ძრავი.რა არის რაკეტის ძრავი. ამის ახსნა ძალიან ადვილია. ისეთი უვიცი ჩვენ დროში არავინ არის, რომ ჩვეულებრივი რაკეტა არ ენახოს.

(დიაპოზიტივი).

ეს არის თოფის წამლით, დენთით გატენილი ლულა, ზევიდან თავდაცობილი და ქვევით კი ღია თავიანი. როდესაც დენთს ცეცხლს წაუკიდებ, ნელნელა იწვის, ერთბაშად არ ინთება. რა ემართება მაშინ შეგროვილ აირს? აირი ვიწრო ლულაში მჭიდროდ არის შეკუმშული, აწვება ლულის კედლებს მარჯვნით, მარცხნით, წინ და უკან. აბა ახლა თუ ლოგიკურად ვიმსჯელებთ. ცხადი იქნება, რომ მარცხენა წნევას აწონასწორებს მარჯვენა წნევა. წნევა კი წინამხარეს მეტია, ვიდრე უკანა მხარეს. და, აი, როგორია შედეგები: აირი ბიძგავს რაკეტას წინ უფრო და უფრო აჩქარებით, სწრაფად მიაფრენს. ამგვარად, ბატონებო, შორს არ არ არის ის დრო, რომ მთვარეზე გაფრენის საკითხი საბოლოოდ გადაწყდეს. რაკეტა მოძრაობს ეგრეთ წოდებული „უკუდაკვრის“ საშუალებით სწორედ ისე, როგორც თოფის სროლის დროს ხდება.

ახლა, მეგობრებო, იმედი მაქვს, თქვენ თვითონ მიხვდებით, რომ რაკეტისთვის არ არის საჭირო ჰაერი. ცდები გვიმტკიცებს, რომ რაკეტა უჰაერო სივრცეში კიდევ უფრო სწრაფად გაფრინდება. თუ საქმე ასეა რატომ ამდენ ხანს არ გაფრინდენ რაკეტით? იმიტომ რომ მგზავრებთან რაკეტისათვის, საჭირო სიჩქარის მისაღწევად, საჭიროა საწვავი მასალის აუარებელი მარაგის წაღება. ყოველი მასალა კი იმდენ ადგილს დაიჭერს, რომ ვერავითარი ვარსკვლავმფრენი ვერ ასწევს. მე ვცადე ათასი ქიმიური შენაერთი და ახალ საწვავ შემადგენლობას წავაწყდი.

**კაპიტანი.** რაშია მისი განსაკუთრებული თვისება, პროფესორო?

**პროფესორი.** მისი განსაკუთრებული თვისებაა დიდი სითბო და სიმსუბუქე. ეხლა შეხედეთ ეკრანს. აი ჩემ მიერ აგებული ახალი რაკეტოპლანი... აქ ზუსტად არის დამუშავებული ჩემი ქიმიური შენაერთის საშუალებით მისი მართვა. ჩემ მიერ აღმოჩენილი ახალი საწვავის საშვალებით შევძლებთ კავშირი გავაბათ მთვარესთან. მე თვითონ გავფრინდები მთვარეზე და ვეცდები უკანვე დავბრუნდე.

**კერი.** დაუჯერებელი ამბავია!

**გარატი.** ახალ საწვავს „გარატოლონი“ დავარქვი, მთელ რაკეტას კი „CC1“, რაც ნიშნავს — პირველ სი-

...რაფეს და ძალის ქვეყნიერებაზე. ...მა რეაქციამ არ დაგღალათ?

**ყველა.** არა, არა.

**გარატი.** აი მოკლედ ჩემი აღმო-...ენის პრინციპი.

**კაპიტან.** დიდებულია, პროფესო-...ო! აღტაცებული ვართ! ჩვენი მეც-...იერთა ლიგა თქვენ გთავაზობთ სა-...შაო ძალას, ფულს და ქარხანას.

**კერი.** მშვიდობით, პროფესორო.

**კერი.** ნახვამდე.

**გარატი.** სულითა და გულით გმად-...ობთ ყურადღებისათვის.

**კერი.** მაშ ხვალ ვიწყებთ მუშაობას!

**გარატი,** დიაღ, დიაღ! ნება მომეცით ...ერ მე გავიდე. (გადიან)

**დუგლას.** (ყვირის სცენის გარედ) ...ი, ლუზა გეცათ ფეხებში! (შემოდის ...ოფესორი)

**პროფესორი.** რა ყვირილია? (შე-...რბის დუგლასი)

**დუგლას.** ლუზა გეცათ ფეხებში! ...ოფესორო, უბედურება მოხდა!

**გარატი.** რა იყო?

**დუგლასი.** შევდივარ იქ — ვხედავ, ...თები გატეხილია, ქაღალდები არე-...ლ-დარეული.

**გარატი.** სად იქ? გასაგებად თქვი. ...ყუთები, რას ამბობ?

**დუგლას.** თქვენს კაბინეტში ქურ-...ები შესულან.

**გარატი.** როგორ? ჩემი ნახაზები? ...მი ქაღალდები?

**დუგლას.** ყველაფერი გადაუქე-...ათ იმ მაწანწალებს.

**გარატი.** ნახაზები დაიკარგა?

**დუგლას.** განა ნახაზები კაბინეტ-... იყო?

**გარატი.** აკი შენ დაგავალე მაგი-...აში შეინახე მეთქი.

**დუგლას.** ჰოი, რა სულელი ვარ? ხომ ხელი არ მიხლია იმ ქაღალ-...ბისათვის, მისტერ, გარატ... აჰა, არ არის? ეცა ლუზა ფეხებში, ...რ აქ აწყვია მაგიდაზე.

## მ ო ქ მ ე დ ე ბ ა მ ე ო რ ე.

### სურათი პირველი.

(სცენაზე გრძელ, თანდათან შემაღ-...ბულად დაგებულ რელსებზე, ...დევს უკვე მომზადებული რაკეტა. საღამოა, ტომი და სამი).

**სამი.** ეჰ, ტომ, რა კარგი იქნებოდა, რომ ჩვენ ორივენი გავფრენილიყავით.

**ტომი.** ნუ სწუხარ, სამ, მოდი, ვიმღეროთ!

**(მღერის):** ბედი მეწვია, მივალ
მთვარეზე,
დელა დელა, დელა დელა,
მივალ უცნაურ ლამაზ მთვარეზე,
მშვიდობით, დედამიწავ,
დელა — დელა, დელა — დელა,
მშვიდობით, დედამიწავ!

**სამი.** რას დაიჟინე, რას აიხირე „ბედი მეწია, ბედი მეწია". შენ რა გიშავს, მაღლა მიდიხარ, ისეირნებ თავისუფლად, მერე მე რა სიკეთე დამეყრება?

**ტომი.** არა უშავს, სამ, ნუ დაღონდები, გამხიარულდი, ბანი მითხარი, ვიმღეროთ!

**(მღერის და ცეკვავს)**

მთვარეზე არ არიან ბატონები,
ვიცხოვრებ ბედნიერად.
და იქიდან სიმღერებით
თქვენ დაგატკბობთ მშვენივრად.
(მღერიან და ცეკვავენ ორივენი)
დელა — დელა, დელა — დელა.
მშვიდობით, დედამიწავ?
დელა — დელა, დელა — დელა,
მშვიდობით, დედამიწავ!

**(შემოდიან მისტერ გარატი და კაპიტანი)**

**გარატი.** ტომ, სამ! დუგლასი გამოგზავნეთ აქეთ.

**ტომი და სამი.** ახლავე, მისტერ გარატ.

**გარატი.** აი, როგორია ჩემი აპარატი. ორმოცდაათი კაცი მუშაობდა ჩემ მოდელზე და ორ კვირაში გააკეთეს. ძნელად სადნობი ლითონი აქვს გადაკრული. მგზავრობისათვის ძალიან მცირე ადგილია, ერთი კაიუტა და საჭმლისათვის საკუჭნაო. დანარჩენი მთელი ადგილი გავსებულია საწვავი მასალით. ჩემი აზრით, საყოფი იქნება იქეთ და აქეთ გამოსაფრენად.

**კაპიტანი.** ერთი მითხარით მისტერ გარატ, რაკეტა რომ დაიღუპოს, დაიღუპება მისი საიდუმლოება?

**გარატი.** (ცოტა სიჩუმის შემდეგ). თუ ჩემ ნახაზებში შეცდომა არ არის, რაკეტა არ დაიღუპება, მაგრამ თუ უკან ველარ დაბრუნდა, ნიშნავს, რომ ჩემი ანგარიში არ გამართლდა, ნიშნავს, რომ რაღაც არ არის გათვალისწინებული, ნიშნავს, რომ არც არის არავისთვის საჭირო.

**კაპიტანი.** ერთი მითხარით, ამ ბიჭს შეუძლია მარტო მივიდეს მთვარეზე და იქედან ნიშანი მოგვცეს?

**გარატი.** დიაღ. ყველაფერი ვაჩვენე. იცის, როგორ მართოს ჩემი აპარატი. მაგრამ მარტო ვერ მოახერხებს წამოსვლას. მე არასოდეს არ დავთანხმდები ამაზე. (შემოდის დუგლასი.)

**დუგლას.** მეძახოდით, პროფესორო?

**გარატი.** დიაღ! ბოდიშს ვიხდით, მისტერ მაკ-ლინ. (დუგლასს). ბალონები გაავსეთ გაროტოლინით და, რომელიც გაავსოთ, ნიშნები დაასვითჯვრები. ჩქარა, დუგლას! ტომი დაგეხმარება. სამ საათში უნდა გავფრინდეთ. **(მიდის. შემოდის ბარტი. ბიჭები და დუგლასი ბალონებთან მუშაობენ. ბარტი მიდის კაპიტანთან და მიჰყავს სცენის წინა ნაწილში).**

**ბარტი.** აბა, რაკეტა ახლავე უნდა გაფრინდეს და ჩვენ კი მისი საიდუმლო ვერ გავიგეთ.

**კაპიტანი.** პროფესორის გაშვება არ შეიძლება მთვარეზე.

**ბარტი.** რა ვქნათ?

**კაპიტანი.** როგორმე უნდა დავაკავოთ! დუგლას! **(დუგლასი მიუახლოვდება.)** პროფესორის კაბინეტის გასაღები თქვენ გაქვთ?

**დუგლას.** მე მაქვს მისტერ მაკ-ლინ.

**კაპიტანი.** ბიჭი მარტო უნდა გაფრინდეს მთვარეზე.

**დუგლასი.** როგორ? პროფესორო?

**კაპიტანი·** პროფესორი თქვენ უნდა დაკეტოთ კაბინეთში.

**დუგლას.** გეცა ლუზა ფეხებში! არაფრის გულისათვის ქვეყანაზე!

**კაპიტანი.** ბევრს ნუ ლაპარაკობთ, (დუგლას). წადით დაა ხვალვე შეასრულეთ ჩემი ბრძანება. თვალყური ადევნეთ მაგას, (მისტერ ბარტი დუგლასი და ბარტი მიდიან).

**კაპიტანი.** აბა, მისტერ გარატ, ვინ-ხოთ ვინ ვის აჯობებს? რაკეტა უთქვენოდ გაფრინდება მთვარეზე.

(ბალონების იქიდან გამოძვრებიან ტომი და სამი).

**სამი.** გაიგონე, ტომ?

**ტომი.** გაიგონე, სამ?

**სამი.** პირდაპირ ვერ დამიჯერებია!

**ტომი.** გაიგე, სამ?

**სამი.** გაიგე, ტომ?

**ტომი.** ეს მაკ-ლინი ამბობდა, რომ მე მარტო... ოი, სამ! ჩვენთვის ეს ხელსაყრელია, პროფესორი აღარ წამოვა.

**სამი.** მერე?

**ტომი.** მერე და და შენ წაიყვან მთვარეზე.

**სამი.** ოი, ტომ! ხომ დავიღუპებით იქ!

**ტომი.** ეჰ, სამ! აქაც ხომ დალხინებული არ ვართ. (მღერის) მთვარეზე არ არიან ბატონები, იქ ბედნიერად ვიცხოვრებთ!

(მღერიან ერთად) და იქიდან ორივენი

ჩამოვძახებთ აქ სიმღერას!
დელა — დელა, დელა — დელა!
ჩამოვძახებთ აქ სიმღერას!
დელა — დელა, დელა — დელა.
მშვიდობით, დედამიწა!

**ტომი.** დაიცა! მოდი, ჩამიძვერი ამ ბალონში — ცარიელია, მე-კი ნიშანს დავასვამ — ჯვარს. იფიქრებენ, რომ შიგ საწვავი მასალაა. შევიტან რაკეტაში და გავფრინდებით.

(ორივენი მღერიან)

ხედავ, მთვარე გვიცინის,
ვისეირნებთ ჩვენ იქ ბევრს,
დელა-დელა, დელა-დელა.
მშვიდობით დედამიწავ.

(სამ ძვრება ბალონში. ტომი ახურავს თავზე და დანიშნავს)

**სამ.** (ბალონში ძვრება). დელა-დელა დელა-დელა, მშვიდობით, დედამიწავ!.

**ტომი.** ერთი ამას უყურე, ბალონში რომ მღერის! სსუთ! ჩუმად, ვიღაც მოდის!

(აყურებს)

**სამი.** (ბალონიდან) ოი ტომ, კინაღამ არ დავიღუპეთ! უმჯობესია შინ წავიდე.

**ტომი.** ნუ გეშინია, სამ, იჯექი, კრინტი არ დაძრა! სამი საათის შემდეგ გავფრინდებით მთვარეზე, მანამდე მე ცოტას წავიძინებ. (ჯდება ბალონთან და იძინებს).

## სურათი მეორე.

**სცენის წინა ნაწილზე ფარდის წინ ბარტი და კაპიტანი**).

**ბარტი.** მოგვილოცავს, მისტერ მაკლინ, პროფესორი ჩაკეტილია. დუგლასის საქმეა. ის დაგვეხმარა დააჯერა პროფესორი მიწოლილიყო და დაესვენა ცოტათი მაინც. პროფესორი დაწვა და დაიძინა. ჩვენ კი ამ დროს ჩავკეტეთ, ახლა კი საქმე კარგადაა.

**კაპიტანი.** რომ გაიღვიძოს, ბარტი?

**პარტი.** მერე რა, ოთახიდან ვერ გამოვა ხვალამდე. გასაღები აქ მაქვს ჯიბეში.

**კაპიტანი.** რასაკვირველია, გაფრენის შესახებ გაზეთებში არაფერი არ უნდა დაიბეჭდოს. არც ერთი რეპორტიერი არ უნდა შემოუშვათ. ყველა კარი უნდა ჩავკეტოთ. განკარგულება გაეცით, რომ რაკეტას სახელი შეეცვალოს. ერთი ასო მოვუმატე „ს" — საიდუმლო. თქვენ ხომ არაფერი გაქვთ საწინააღმდეგო, მისტერ ბარტი?

**ბარტი.** რასაკვირველია, არა!

**კაპიტან.** მაშასადამე, ეს იქნება ძალა, სისწრაფე, საიდუმლო.

**ბარტი.** საუცხოვოა, მისტერ მაკლინ! მე უკვე გამოვუძახე პოლიციელების რაზმს. ყოველ ფეხის გადადგმაზე ჟანდარმი იდგომება.

(მიდიან).

(იხსნება ფარდა. იგივე დეკორაცია, რაც წინა სურათის დროს იყო).

**კაპიტან.** გთხოვთ დაიჭიროთ ადგილები. აბა, ტომ, შედი კაიუტაში. და როგორც კი ცხვირსახოცს დავაქნევ, შეურთე ძრავი. (პასტორს) ბატონო პასტორო, თქვენ განკარგულებაში ბრძანდებით.

**პასტორი.** ოჰ, რა ცხელა, ვკვდები პირდაპირ, (ტომს) შვილო ჩემო, შენ ამ წუთს დედამიწას ემშვიდობები. როგორც კი შევურთებ ძრავს, რაკეტა გაექანება ცის სივრცეში, ისე, როგორც ბუმბულს, გაგაფრენს იქ, სადაც ყოვლის მპყრობელმა, ჩვენმა მფარველმა და მწყალობელმა მეუფემ აღამაღლა თავისი დიადი ტახტი...

**(ისმის აფეთქება. რაკეტა მიფრინავს. ბნელა. ჭერში თოკებზე მოძრაობს (მიფრინავს) რაკეტის მოდელი**).

(დასასრული შემდეგ ნომერში)

**დოლინი და მ. შიფმანი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# პირველი ადამიანების შესახებ დედამიწაზე



ირემზე ნადირობა

## უძველესი ადამიანი.

ადრინდელი ადამიანის ნეშთი 1891 წელს იპოვეს.

ჰოლანდიის მეცნიერი დიუბუა აწარმოებდა გათხრებს იავას კუნძულზე, რომელიც ინდოეთის ოკეანეში მდებარეობს.

ის ეძებდა ადამიანის მსგავსი მაიმუნების ძვლებს. უცბად, დიდი ხნით ამოწყვეტილ ცხოველთა ძვლებს შორის ის წააწყდა საძირე კბილს, რომელიც სრულიად წააგავდა ადამიანისას. კბილის ახლოს იდვა თავის ქალას ზედა სარქველი და იქვე ნეკნის ძვალი.

ეს შესანიშნავი ნაპოვნი იყო.

მეცნიერნი ყურადღებით იკვლევდენ მას. მათ შეძლეს აღედგინათ თავის ქალას საერთო სახე.

მოქანდაკე სწავლულმა მაკ გრეგორმა აღდგენილი თავის ქალას მიხედვით გამოძერწა თავი.

მისი სახე მაიმუნის პირის სახეს ემსგავსებიდა, მაგრამ უფრო უახლოვდებოდა ადამიანს. მისი მენჯის ძვლის ფორმა და თავის დადგმა ამტკიცებდა, რომ ის იდგა პირდაპირ, ვერტიკალურად, როგორც ადამიანი, და დადიოდა ადამიანის მზგავსად, ხელების დაუხმარებლად.

თავისუფალი ხელებით კი მას შეეძლო ჯოხის დაჭერა და ქვის სროლა. ჯოხ-კომბალი და ქვა იყო ადამიანის პირველი იარაღები მტერთან ბრძოლასა და ნადირობაში. მეცნიერებმა გამოიკვლიეს მიწის ის ფენა, სადაც იპოვეს მაიმუნ-ადამიანის ძვლები და ამით განსაზღვრეს მისი სიძველე. გამოირკვა, რომ ის კაცი ცხოვრობდა ასორმოცდაათი ათასი წლის წინ ჩვენ დრომდე.



კაცი მაიმუნის თავი

## 2. ასი ათასი წლის წინათ.

უძველეს მიწის ფენებში, რომლებიც ასი ათასი წლის წინად შეიქმნენ, პოულობდენ უცნაური ფორმის კაჟის მაგვარ ქვებს.

ეს ქვები თითქმის კაცის ხელით იყო ტლანქად გაკეთებული. ან შეიძლება ისინი თავისით მოსხლტენ შემთხვევით. მეცნიერებმა ვერ გადაწყვიტეს ეს ამოცანა. და აი 1911 წელს ინგლისში მდინარის დაბლობის მაღალ დაქანებაში აწარმოეს გათხრები და დავიდენ ნიადაგის კენჭებიდან ფენამდე, სადაც უხვად დევს უკვე ამოწყვეტილ ცხოველთა აურებელი ძვლის ნამტვრევები. იქ აღმოჩნდა სხვა ცხოველთა უზარმაზარი ძვლები და მათ შორის — ადამიანის თავის ქალის ნამტვრევებიც.

თავის ქალა აღადგინეს. ეს ქალა იმდენად არ წააგავს მაიმუნისას, მაგრამ მისი ტვინის კოლოფი საკმაოდ მცირეა თანამედროვე ადამიანის ტვინის კოლოფთან შედარებით, ხოლო ზედაყბა ისევ წინ წამოწეულია.

ამ ადამიანის ცხოვრებაზე ჩვენ ცოტა რამ შეგვიძლია გავიგოთ. ჩვენ ვიგებთ, რომ მას შეეძლო, მართალია ჯერ კიდევ მეტად ტლანქად, ქვების გამოთლა, მათი გამახვილება, მისგან სატეხის, დანის და საფხეკის გაკეთება.

ქვის იარაღებისა და ხისგან გაკეთებული კომბლის საშუალებით მას შეეძლო თავდასხმა და მოგერიება მტრისა, ნადირობა, მხეცების ქურ-

ეროვნული ბიბლიოთეკა



კაცი-მაიმუნის თავის ქალა



ადამიანის რასის ტიპი, რომლებიც პირველი მხატვრები იყვნენ



ნახატები გამოქვაბულის კედლებზე

ქის გასუფთავება, ძვლების დამტვრევა — მისგან გემრიელი ტვინის მისაღებად.

### გამოქვაბულის ადამიანები.

მთების გამოქვაბულებსა და კლდის ნაპრალებში ხშირად პოულობენ ძველს ადამიანთა სადგომებისა და სასაფლაოების კვალს. მხეცები და ადამიანები მრავალი ათასი წლების განმავლობაში თავს აფარებდენ მას ავდრებისა და ყინვების დროს. მთელი ფენები მხეცთა და ადამიანთა ძვლებისა, კაჟის იარაღების და ნაშთები ადამიანთა ნადიმისა ერთიმეორეზე აწყვია. იქ პოულობენ დანებს, სატეხს, საფხეკს, ბურღს, ხეშუბის ბოლოებს და ბუნიკებს. ამ სადგომებში პოულობენ დანახშირებულ ძვლებს და კოცონის კვალს.

ამ ეპოქის ადამიანმა იცის ცეცხლის გამოყენება, მას უყვარს შემწვარი ხორცი. ის მოხერხებულია, მან იცის იქ მუდმივად მცხოვრები უზარმაზარი მძვინვარე გამოქვაბული დათვის გაძევება. მას შეუძლია დაამარცხოს და მოკლას ზუბრი, მამონტი, მარტორქა ,ლომი და ვეფხვი.

დახოცილ ცხოველთა კბილებისაგან ის აკეთებს საყელურებს და ამით ილამაზებს თავის სხეულს. განათხარებში ხშირად პოულობენ მტაცებელთა გახვრეტილ კბილებს.

### პირველი მხატვრები.

გამოქვაბულის ზედა ფენებში პოულობენ სხვადასხვა ფორმის მშვენივრად ნაკეთებ კაჟისა და საკმაოდ რთული კონსტრუქციის ძვლის იარაღებს.

შეიძლება ეს იყო მეთაურთა საპატიო კვერთხის ან ქურუმთა და გრძნეულთა მაგიური კვერთხი.

მაგრამ ფრიად შესანიშნავი ნაპოვნი — ეს სურათებია გამოქვაბულის კედლებზე.

ერთ-ერთი გამოქვაბულის კედელზე გამოსახულია ხელის მტევანი. ამ გამოსახულებას საღებავით შემოვლებული აქვს შავი და თეთრი ფერი. ზოგიერთ ხელებს თითები აკლია. რით ავხსნათ ეს? შეიძლება იმ ხალხმა, რომლებიც კედელზე ხელებს აღბეჭდავდენ, დაკარგეს თავიანთი თითები ომში ან ნადირობის დროს, ან შეიძლება არსებობდა მკაცრი ჩვეულება ხელების დამახინჯებისა.

სხვა გამოქვაბულთა კედლებზე — მხეცების შესანიშნავი ნახატებია დაოთხვილი (მონავარდე მხტუნავი) ცხენი, შავი და თეთრი საღებავებით დაფერადებული.

ზოგჯერ მხეცები ამობურცულად გამოქანდაკებულია კედელზე, ზოგჯერ კი ნაძერწია თიხისაგან.

იმ დროის ხალხმა იცოდა თიხ
ანი წითელი, ყვითელი და შავი საღ
ბავების მოპოება, ქვის როდინი
მისი ფხვნილებად გალესვა და ცხო
ველთა ქონში შეზავება.



გაქენებული ცხენი. გამოქვაბულის
კედელზე დახატული



კვერთხის ნატეხები და ხელ დახატული
საგნები



მ ა მ ო ნ ტ ი

გამოქვაბულის სიღრმეში კედლებსა და თაღებზე ისინი ხატავდენ, ალბათ, ჩირაღდნებისა და ქონის სინათლეზე. საღებავები მათ ნახატზე დღემდე ისე შენახულა, თითქოს გუშინდელი ნახატიაო.

პირინეის მთების ერთ გამოქვაბულში იპოვეს ზუბრის, ცხენების და ჩრდილოეთის ირმის მშვენიერი გამოხატულებანი.



გამოქვაბულის ჭერზე დახატული
ირემი

მკვლევარის შვილმა სტალაქტიდით თითქმის დახურულ ვიწრო გასავალში შენიშნა რაღაც.

მათ მოუხდათ რამდენიმე სტალაქტილის გარღვევა, და ახლად გამოჩენილ გალერიის კედელზე მათ ნახეს ორი ზუბრის მშვენიერი გამოხატულება. თიხიდან ნაძერწი, ბარელიეფის მსგავსად.

მათ ნათლად გააშუქეს გამოქვაბული თავიანთი ჩირაღდნებით. თიხის ნოტიო, რბილ ნიადაგზე გარკვევით ჩანდა ნაკვალევი. ეს იყო გამოქვაბულის დათვის ბრჭყალების კვალი, რომელიც ისე ახალი ჩანდა, თითქოს მხეცს აქ ახლა გაუვლიაო. იქვე მის გვერდით ახლად შენახულიყო ადამიანის ტერფის ნაკვალევი, აქა იქ ეგდო გამოქვაბულის დათვის ძვლები. ყბის ძვალს წინა კბილები აკლდა. ადამიანი ებრძოდა აქ მხეცებს, ხოცავდა მათ და როგორც ნიშანს გამარჯვებისა, აძრობდა მათ კბილებს.



პირ. უძველეს დროის ადამიანის საწარმოო
იარაღი

შეიძლება ეს ის მხატვარი იყო, რომელმაც ასე სასწაულებრ გამოაქანდაკა თიხიდან ზუბრები.

შენახული კვალი იმდენად ახალი ჩანდა, რომ გეგონებოდათ, თითქოს პირველყოფილი ადამიანი აქ დადის სადმე გამოქვაბულშიო იმ დროს, როდესაც ოციათასმა წელმა მაინც განვლო, რაც ის ცხოვრობდა.



მ ა რ ტ ო რ ქ ა

# ბერლინი

ბურჟუაზიას მეტისმეტად უყვარს ფუფუნებით ცხოვრება, ის შესანიშნავ ქალაქებს აგებინებს მუშებს, თვალწარმტაცად აწყობს ყველაფერს, რომ დატკბეს და გაიხაროს! მაგრამ თავის ბედნიერებას მშრომელთა უბედურებაზე აგებს, მილიონები იტანჯებიან, რომ ერთი მუჭა მუქთახორები ხარობდენ, ნებივრობდენ. თვით უზარმაზარი თვალწარმტაცი ქალაქების გარეგნული სახეც მოწმობს კლასთა შორის არსებულ უთანასწორობა—ჩაგვრას, და თუ ბურჟუაზიის უბნები კოხტაობს და კეკლუცობს, პროლეტარიატის უბნებში შიმშილის და ჩაგვრის აჩრდილები აჰკვრია შენობებს...

რას წარმოადგენს ბერლინი, საბჭოთა კავშირის საზღვრებიდან ყველაზე ახლოს მდებარე იმპერიალისტური სატახტო ქალაქი, სადაც მძვინვარებენ ჰიტლერი და ძმანი მისნი — ბურჟუაზიის დამქაშები, მონამორჩილნი?

მცხოვრებთა რაოდენობით ბერლინს მეოთხე ადგილი უჭირავს მსოფლიოში, თავის ფართობით კი მესამე, ის მხოლოდ ნიუ-იორკსა და ლონდონზე პატარაა.

ასიათასი ავტომობილი დაქრის ბერლინის ქუჩებში, და ასფალტი, რომელიც არის ქუჩებში მოსხმული, ბრწყინავს, როგორც როიალის სახურავი. საღამოს, როდესაც აინთება ელექტრობა, ამ ასფალტში მოჩანს ვიტრინები, ტაქსი, ავტობუსები.

იმ ქუჩებში, სადაც შედარებით მცირე მოძრაობაა, ასფალტი არხების განათებულ წყალს მოგვაგონებთ, და ეს ნაწილი მაშინ თითქოსდა ვენეციას წააგავს.

ბერლინის საუკეთესო ცენტრალური ქუჩაა ტირგარტენშტრასე, რომლის ერთ მხარეს ამაყად ამართულა უზარმაზარი ბაღის მაღალი, დაფიქრებული ცაცხვები, მეორე მხარეს კი მდიდარი ფინანსისტების, ბანკირების, მრეწველების კოპწია სახლები, რომლებსაც წინ თვალწარმტაცი პაწაწა დეკორატიული ბაღები აქვსთ. საშინელი მოძრაობაა ტირგარტენშტრასზე — აქ მწკრივად მიდის ავტოები იქეთ თუ აქეთ, ასფალტი კი ისე ბზინავს, რომ ცაცხვებიც მთლიანად ჩანს მასში. მხოლოდ ავტომობილების სინათლეც კი საკმაო იქნებოდა ქუჩების გასანათებლად.

ასეთი მოძრაობა ბერლინში. სავსეა ბერლინის ქუჩები, მაგრამ რაიონებს შორის მიმოსვლას უმთავრესად რკინისგზა ემსახურება — მიწისქვეშა და საჰაერო რკინისგზა.

ბერლინში 200 მეტი სადგურია. შორმავალი მატარებელი ქალაქის ხუთ სადგურზე ჩერდება. თვითეული სადგური დღეღამეში უშვებს არა ნაკლებ ათასი მატარებლისა—ესაა, შორმავალი, ახლომავალი და საქალაქო მატარებლები. შორმავალი მატარებლები სადგურებზე 2-3 წუთს დგას დანარჩენები - არა უმეტეს 20 წამისა. ბერლინის ყველა რკინისგზა ელექტროფიცირებულია.

როგორია მიწისქვეშა რკინისგზა? მიწისქვეშ არის გაყვანილი აუარებელი ვიწრო გვირაბი, რომლებშიაც რელსებია დაგებული. ბრწყინავს რელსები და შორს მოძრაობს, როგორც მიწისქვეშა რაღაც საოცარი ცხოველის ულვაშები. ქუჩების ხმაური, გრიალი ჩადის მიწისქვეშა გვირაბებში, სადაც ისეთი ხმაურობა გაისმის, თითქოს საშინელი კატასტროფა მოხდაო. თითქმის ერთიმეორეს მისდევს გვირაბებში ყვითელწითელი ელექტრომატარებლები და ჩერდება მიწისქვეშა სადგურებზე, რომელიც თეთრ ტბებად მოჩანან გვირაბის სიბნელეში. ყოველი ბაქანი სავსეა ხალხით. ზოგი მორბის, ზოგი მირბის. როდესაც დიდი მოძრაობაა, მატარებლები ყოველ 2 წუთში მიდის და ოდნავ ჩერდება სადგურებზე.

ჰაერის გასაწმენდად გაკეთებულია ვერტიკალური ფანჯარა-ჰები, რომლებიც გვირაბის კედლებიდან იწყება და ტროტუარებზე ადის. ტროტუარებზე მათ დახურული აქვს სქელი ორმაგი რკინის ბადე. როდესაც მიწისქვეშა მატარებელი ჩაიქროლებს ამ ფანჯრებთან, ისეთი გრიალი ატყდება, რომ შეუჩვეველი მგზავრი თავზარდაცემული გარბის და დაფეთებული იცქირება მის ფეხებთან წელან აღმუვლებული რკინის ბადისკენ.

ქალაქის ზოგიერთ რაიონში მიწისქვეშა მატარებელს ბეზრდება მიწის სიღრმის სიბნელე, და ის მედგრად შეუდგება აღმართს, ამოყოფს თავს მიწის ზედაპირზე და, რადგან ქუჩაში მისთვის გზა არ არის, საშინელი დიდი მოძრაობაა და პოლიცია არ მისცემს ნებას, ის მიჰყვება რკინის ხაზს — ვიადუკს, რომელიც სახლების თავებზე გადადის, და განუწყვეტლივ ხმაურობს. ასეთია ბერლინი თავისი მიწისქვეშა და საჰაერო მატარებლებით, აურაცხელი ავტომობილ-ავტობუსებით და ზღვა ხალხით გაჭედილი ქუჩებით.

დაღამდება თუ არა, იწყება სარეკლამო ელექტროინფორმაცია. სანამ ტრამვაის გაჩერებასთან დგახართ, ელექტროწარწერები შეგატყობინებთ ახალ-ახალ ამბებს და გირჩევსთ, თუ სად რა შეიძინოთ. ბურჟუაზია, რომელიც ოფლს აღვრევინებს ასიათასობით მუშებს თავის ფაბრიკა-ქარხნებში, ყოველგვარი რეკლამით ცდილობს გაასაღოს თავისი საქონელი, მუშებს კი, ამ პროდუქციის შემქმნელთ, საშუალება არა აქვთ შეიძინონ, ვინაიდან საარსებო მინიმუმსაც ვერ შოულობენ.

აი მაღალი სახლის ყრუ კედელი. უზარმაზარი ბოთლი, ელექტროლამპებისაგან გაკეთებული, იხრება და ამგვარსავე ჭიქაში ისხმება ბრჭყვიალა შამპანიური ფართო ნაკადად.

აი მეორე კუთხე, ბნელით მოცუ-

ლი. ანათებს კოლოფი, რომელზეც წუთწუთას გაკრავს კიდეც უხილავი და პაპიროსს ცეცხლს უკიდებს. პაპიროსის კვამლი რგოლებად ადის ზევით და იქ ქრება. არის ისეთი ადგილებიც, სადაც რეკლამების ელექტრობის ღამით მეტი სინათლეა, ვიდრე დღისით.

ბერლინში საჰაერო ნავსადგურ ტემპელგოფში დადგმულია 40 მილიონი სანთლის ძალის მქონე შუქურა (ინგლისმა კი მილიარდსანთლიანი შუქურა გააკეთა ღამით აეროპლანების საფრენად. ნიუ-იორკში თეატრ „კაპიტოლი“-სთვის გააკეთეს ელექტროპრაჟექტორი, რომლის სინათლე 4 მილიარდ სანთლის ძალას უდრის. ამ პრაჟექტორის დანიშნულებაა—სინათლის ასოებით დაწეროს ცაზე თეატრის პროგრამა).

ბურჟუაზიას უყვარს გართობა. „შიმშილის ოსტატმა“ იოლიმ 45 დღე იშიმშილა. ამ ხნის განმავლობაში ის მინის ჯიხურში იწვა რესტორან „ნიანგ“-ში, გახდა, თმებით დაიფარა და წყნარად აბრუნებდა თავს აქეთ-იქეთ. ცნობისმოყვარე ხალხი გარს უვლიდა ჯიხურს, აინტერესებდა—მართლა არაფერს ჭამსო? და იოლი მართლაც არაფერს ჭამდა. რომ გაერთო გარყვნილი ბურჟუაზია, რომლის ბრჭყალებში მყოფ ასიათასობით მუშებს არაფერი აქვთ საჭმელი და ძალაუნებურად შიმშილობენ, მაგრამ ეს არ აინტერესებს ბურჟუაზიას, იოლის შიმშილობა კი ართობს მას...ვილაცამ მოინდომა პარიზში 40 დღის შიმშილობა, ჩაწვა მინის კუბოში, და მას დარაჯი მიუყენეს. ათ დღეს იშიმშილა, მეთერთმეტეს კი გატეხა თავისი კუბო, დარაჯი კუთხეში მიაგდო და თავქუდმოგლეჯილი გავარდა მახლობელ რესტორანში. დამარცხდა შეჯიბრებაში, გერმანელებმა აჯობეს. კაპიტალისტურ ქვეყნებში ერთანეთს ეჯიბრებიან აბა ვინ უფრო დიდხანს იშიმშილებს, ვინ უფრო დიდხანს იცეკვებს და სხვა, საბჭოთა კავშირში კი ერთმანეთს ეჯიბრებიან—ვინ მეტ სარგებლობას მოუტანს სოციალისტურ აღმშენებლობას. შეჯიბრებაც არის, როგორც ხედავთ, და შეჯიბრებაც!!

ბერლინი ხუთსართულიანი ქალაქია, იქ იშვიათად შეხვდებით უფრო ნაკლებსართულიან სახლებს, თანაც როგორც ცენტრში, ისე გარეუბნებშიც ხუთ-ხუთ სართულიანი სახლებია, მაგრამ ქალაქის განაპირა უბნებში მოძრაობა უფრო ნაკლებია, ავტომობილები უფრო ცოტაა. მუშები ანერვიულებულები არიან, ვინაიდან საშინელ პირებში უხდებათ ცხოვრება, და დემონსტრაციების თუ გაფიცვების დროს საშინლად ახმაურებულია ეს განაპირა უბნები, და ამ დროს პოლიციების სახეებიც ჩვეულებრივზე უფრო უხეში და მხეცურია.

ბერლინი დიდი საქარხნო ცენტრია, აქ აუარებელი ქარხანაა. ახალი კელნი — აი ნამდვილად მუშური რაიონი, კომუნიზმის ბუდე. ვინც ნოიკელნში ცხოვრობს, მას პოლიცია არ ენდობა, როგორც ვედინგში მცხოვრ[illegible]მებს, კომუნიზმის მოტრფიალეებს, კლასობრივი ბრძოლისთვის [illegible]ებს. და ფაშისტები ებრძვიან ამ [illegible]ქის მშრომელებს — სახლის ქირის დროზე გადაუხდელობისათვის ბინებიდან ქუჩებში ყრიან პროლეტარებს და თავის „საიმედო“ ხალხს ასახლებენ შიგ. ამრიგად ცდილობენ ისინი წითელი ვედინგის ფაშიზაციის გატარებას...

აი ელექტროსადგური ქალაქის განაპირას, რუმელსბურგში. შესანიშნავი შენობა, კომფორტი, იშვიათი მოწყობილობა, უზარმაზარი ტურბოგენერატორები, თვითეული... 80000 კილოვატის ძალის მქონე!

ბერლინის ქარხნებში გაცხოველებული მუშაობაა, მილები ამაყად ამართულა ცაში, თვალს იტაცებს სიმენს— ქალაქი თავისი ათსართულიანი ქარხნით, მაგრამ... ჯიბეს ისქელებენ სიმენს-შუკერტები, მუშების ცოლები



რკინის ქარხანა ქ. კერჩში

კი პჭობენ, თუ რანაირად მოახერხონ თუნდაც სულ უბრალო, სულ იაფი სადილის გაკეთება.

მართალია, ელექტრომავლები არ კვამლავენ ბერლინის ცას, მაგრამ იმ ქალაქში, სადაც 4 მილიონი მცხოვრებია, ცხადია, ჰაერი საკმაოდ სუფთა ვერ იქნება, და ბერლინის მცხოვრებლები საზაფხულოდ აგარაკებზე მიდიან, ქალაქის მახლობლად. გერმანელ მუშებს აქვთ თავისი მწვანე ქალაქი, თავისი ფიცრული ქოხმახები, სადაც ფრიალებს წითელი ფლაგები სათანადო ლოზუნგებით, იმის მიხედვით, თუ ვინ არის მისი პატრონი სოციალ-დემოკრატი თუ კომუნისტი. აქ ახსოვთ პირველმაისობის შესახებ, ახსოვთ, რომ ბოლო უნდა მოეღოს ბურჟუაზიის ბატონობას...

გერმანიის ბურჟუაზიასაც აქვს თავისი მწვანე ქალაქი-ბერლინ-ვესტე, ფაშისტების ბუდე, სადაც ცენტრალურ მოედანზე, როგორც პოლიტიკური ხულიგნობის ციტადელი, ამჟამად ამართულა „ვილჰელმის კაფე“— ფაშისტების კრების ადგილი.

ბერლინ-ვესტე — მთელ მსოფლიოში ერთ ერთი უუცნაურესი ქალაქია. აქ თვითეული ქუჩა იმის ღირსია, რომ მასზე ცალკე უამბო მკითხველს. ქუჩები იმდენად განიერია, რომ იქ ტროტუარიდან ტროტუარამდე თამამად ჩაეტევა მოსკოვის რომელი მოედანიც გინდათ. სწორია ეს ქუჩები, როგორც ლარი და ზოგი მათგანი იმ სიგრძეა, რომ შესაძლოა დაიბადოთ რომელიმე ქუჩის ერთ თავში, ხანგრძლივად იცოცხლოთ და ისე მოკვდეთ, რომ არც ერთხელ არ ყოფილიყოთ იმავე ქუჩის მეორე თავში და არ იცოდეთ რა დგას იქ ან რა ხდება.

სახლები შესანიშნავია, კომფორტააბელურად მოწყობილი, აუარებელი ბაღახი და ყვავილია ტროტუარების ორივე მხარეს დარგული. ტრამვაი მისრიალებს ხეების მწკრივებს შორის, და მგზავრებს ათრობს ყვავილთა გამაბრუებელი სურნელება. იმის მიხედვით, თუ რის სეზონია, ეს სურნელებაც სხვადასხვა გვარია. მით გაბრუებული, ნასიამოვნები ადამიანი მეტ ძალ-ღონეს გრძნობს და ხალისიანად მიდის... და აქ არავის არ ახსოვს, თუ ბერლინში, სადაც ამჟამად გიტლერი შფოთავს და ცდილობს გაძღეს მშრომელთა სისხლით, ათასობით დგანან საქველმოქმედო სადილის ჯერში გერმანელი უმუშევრები, მათი შვილები კი თვალცრემლიანი შეცქერიან დედებს და უსიტყვოდ ეკითხებიან: „კიდევ უსადილოდ? გვშია, გვაჭამე,“ დედები კი აცრემლებულ თვალებს ახამხამებენ და ელიან იმ დღეს, როს იჭექებს მრავალმილიონიანი მშრომელთა ბუდე—დიდი ბერლინი...

**შ. თ.**

---


არცერთი პიონერი არ უნდა დარჩეს

# ჟურ. „პიონერი“-ს

ხელმოწერის გარეშე.

ჟურნალ „პიონერი“-ს 1933 წლის ყველა ნომერში დაიბეჭდება საინტერესო მოთხრობები და ლექსები.

ჟურ. „პიონერი“-ს რედაქცია.

ფასი 1 მან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

87